# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 7 ივნისი 2005 №127 (2449) ფასი 50 თეთრი



## ასარჩევი ალარაფერია

ვლადიმერ გუცაევმა პირველმა გამოთქვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი, თუმც სურვილი სურვილად დაურჩა. ვეტერანი ფეხბურთელი გუშინ სფფ-ის გენმდივან ვალერი ჩოლარიას დაუკავშირდა და თავისი კანდიდატურის მოხსნა ოფიციალურად დაუდასტურა. ამრიგად, დარჩა ერთადერთი კანდიდატი — ნოდარ ახალკაცი და საპრეზიდენტო არჩევნებს არჩევნები ზრდილობის გულისთვისღა ჰქვია...



## მეამაყება, რომ დიად მეჩოგნეებს გავუტოლდი

ინტერვიუ რაფაელ ნადალთან

14

# ღირსეულნი ცხინვალიდან



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი ძალოსანი არსენ კასაბიევი და გამოცდილი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. შეხვედრა სახელმწიფო კანცელარიაში შედგა. პრეზიდენტი ძალოსნების გარდა NBA-ში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებსაც შეხვდა და გვერდში დგომა აღუთქვა.

# ფრენბურთელთა პირველი გადაფრენა

### მიქაძის გოგოებმა მოლდოვის ნაკრებს სძლიეს



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო



# უნაპერწკლო, უიმედო, შეშლილი, შეშლილი, შეშლილი ნაკრები

**ერთი** ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო, ჩვენ კი ძალიან ბევრჯერ შეგვეშალა საქართველოს ნაკრების შეფასებაში.

შეგვეშალა ის, რომ მუნდიალზე გასვლისა გვეიმედებოდა; შეგვეშალა ჩვენივე ფეხბურთელების შესაძლებლობები — რა ვუთხარი ისეთ ქომაგს, მალხაზ ასათიანის სათამაშო მანერა რომ არ მოეწონება, მაგრამ ერთია ნიჭი და მეორე მისი ხორცშესხმა, ანუ ამ შემთხვევაში მახო ბერძენ ზაგორაკისზე და თურქ ემრეზე მაღალი დონის ფეხბურთელად არ უნდა მონათლო; შეგვეშალა ისიც, რომ სანაკრებო მატჩებზე დიდი აჟიოტაჟი ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს ჰქონდა. სად, რომელ ქვეყანაში ხდება ასე?

და თქვენ გგონიათ, რომ 4 ივნისს საქართველოს ნაკრებმა ტირანაში სირცხვილი ჭამა? ამას უფრო მოსალოდნელ სირცხვილს დავარქმევდით, მოსალოდნელსა და მოულოდნელს შორის კი დიდი განსხვავებაა. არ გვინდა, ქუჩურ დონეზე გავარჩიოთ ტირანული საცოდაობა, მაგრამ განა 90 წუთის მანძილზე რომელიმე ფეხბურთელს თვალებში ნაპერწკალი ულვივოდა?

ერთი სიტყვით, მივადექით ორ განშტოებას: არ უნდათ თუ არ შეუძლიათ? ალბათ, პირველიც და მეორეც....

დავიწყოთ პირველი არგუმენტით: არ ვიჩნდებათ კითხვა, რატომ ითამაშა ალბანეთთან სხვებზე შედარებით ნორმალურად ლევან მაღრაძემ? იმიტომ ხომ არა, რომ დებიუტანტი იყო და სხვებზე მეტად მოინდომა? მაღრაძე პირველი მაგალითი არ არის, გვახსოვს გოგიტა გოგუა ლიტვასთან, მალხაზ ასათიანი რუსეთთან, ლევან კობიაშვილი ნორვეგიასთან — სადებიუტო მატჩებში ესენი საუკეთესოები იყვნენ ნაკრებში. დამაფიქრებელი ამბავია, ღმერთმანი.

მეორე არგუმენტი გნებავთ? დავივიწყოთ ის, რომ ქართველები „ყველაზე მაგრები“, „ყველაზე ნიჭიერები“ ანდა „ევროპელი ბრაზილიელები“ ვართ. არც იმის გახსენება გვინდა, საბჭოეთის დროს თბილისის „დინამო“ ალბანურ კლუბთან ამხანაგურად თამაშს რომ არ კადრულობდა. მორჩა, წავიდა 1981 წლის 13 მაისი და წარსულით ტკბობას თავი დავანებოთ. აგერ, რეალურად გამოჩნდა: ჰანს-პეტერ ბრიგელს ალენ ჟირესზე ძლიერი გუნდი ჰყავს და თუ მაინც ამ ორი ნაკრების სათითაო ფეხბურთელს შევადარებთ, კი, ბატონო, არც ამით „ვაზივართ“ თავზე ალბანელებს. ლევან კობიაშვილი? „არწივებს“ ხუთი მოთამაშე ჰყავთ ბუნდესლიგაში. კახა კალაძე? სერია A-ში იგლი ტარეც არაა ჩამოსაწერი კაცი, ბოგდანი კი სერია B-ში ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. ყურადღება — აქ ლაპარაკია ალბანეთზე, თორემ დანიას, საბერძნეთისა და თურქეთს რომ შევედაროთ, აუუჰ...

აქედან დასკვნა: ნულარ ვიბრიქებით, ესა გვყავს და ისა გვყავსო...

ცალკე სალაპარაკოა ჟირესის უცნაური სტრატეგია: თუ ნაკრებს მომავალი შესარჩევი ციკლისთვის ამზადებს, ესე იგი, ახალგაზრდებს უნდა გაუღოს კარი და არა 31 წლის ალექსანდრე რეხვიაშვილს, რომლისგანაც „ფეხებშენახული“ თამაში არ გვახსოვს, ჯიგრიანობის განსახიერებაა, მაგრამ საუკეთესო წლები მოილია.

თურმე ნუ იტყვით, ჟირესი 11 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებს ელოდება, ვნახოთ, რა გზას აირჩევს ფედერაცია, დღევანდელ ქათამს (შედეგს) ამჯობინებს თუ ხვალინდელ კვერცხსო (მომავლისთვის მზადებას)... უმჯობესია, ეროვნული ნაკრების მწვრთნელს საკუთარი აზრი გააჩნდეს.

აი, ეს ყველაფერი ერთმანეთშია აღრეული. სად წავიდეთ, რა წყალში გადავვარდეთ? ტირანული წაგების მეორე დღეს ლამის ყველა ამბობდა, 0:2-ის მერე ტელევიზორი გადავრთე და პორტუგალია — სლოვაკეთს ვუყურეო. აი, უბედურებაც.

გამოსავალს რაში ხედავთო, იკითხავთ:

ეგ უკვე ჩვენი საქმე არაა, დიდ კაპიტალს ვერ დავაბანდებთ ქართულ ფეხბურთში და კლუბებს გამაშების თუ ბუცების ფულს ვერ მივცემთ. ჩვენ ვერ ავუკრძალავთ 18 წლის ფეხბურთელს აზერბაიჯანის გადაკარგულ გუნდში ან რუსეთის ქვედა ლიგაში წასვლას; ჩვენ ვერ ავკრძალავთ ბავშვთა საფეხბურთო სკოლებში ყასბების და მძღოლების მუშაობას; ჩვენ ვერ ავლაგმავთ სტადიონებზე ქვასროლიობანას და უმიზეზოდ დედის გინებას; ჩვენ ვერ ავკრძალავთ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში გარიგებას; ჩვენ ვერ გავაკეთებთ ნაკრების ბაზაზე მინდორს, სადაც ერთხელ გველიც კი იპოვეს; ჩვენ ვერ ავუკრძალავთ მუშაობას იმ მწვრთნელს, რომელმაც არ იცის, ბოლო იმედის ჯარიმა რატომ ფიქსირდება; ჩვენ ვერ მოვუვლით გახრიოკებულ მინდვრებს, სადაც ბურთის გაგორებაც კი ჭირს;

... ანუ ჩვენ ვერ შევიმუშავებთ საფეხბურთო კანონს.

ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი ართქმული ფედერაციის ახალი პრეზიდენტის და მისი გუნდის გასაკეთებელია.

ჯერჯერობით კი ქართული ფეხბურთი „ცისფერი მთების“ ვასო ჩორგოლაშვილივით ლიფტშია გაჭედილი და არ იძვრის.

აი, მწარე სიმართლეც...

**ლუკა თალაკვაძე**

## ჰოლანდია

**გადასასვლელი პლეი ოფი**

**A ჯგუფი. V ტური**

როზენდალი 4:0 ვოლენდამი

ტელსტარი 2:1 ვენლო

**B ჯგუფი. V ტური**

გრააფსხაპი 2:1 ჰელმონდი

სპარტა 3:1 ზვოლე

## პოლონეთი

**თასის ნახევარფინალი**

**პირველი მატჩები**

ლეგია 1:1 გროცლინი

ვისლა 1:0 ზაგლებე

## შვედეთი

**სუპერეტა**

**IX ტური**

იოსტერსი 0:2 გაის

დეგერფორსი 1:0 ბოდენსი

ბრომაპოიკარნა 2:0 ფრიოლუნდა

ფალკენბერგი 1:1 ვასტერასი

ნორჩიოპინგი 1:1 მიალბი

ტრელებორგი 0:0 იორებრო

ვასბი 0:1 ლიუნგსკილე

## ირლანდია

**პრემიერლიგა. XII ტური**

კორკ სიტი 2:0 ფინ ჰარპსი

## ქალთა ევროპის ჩემპიონატი 2005

**A ჯგუფი. პირველი ტური**

შვედეთი 1:1 დანია

ინგლისი 3:2 ფინეთი

**B ჯგუფი. პირველი ტური**

გერმანია 1:0 ნორვეგია

საფრანგეთი 3:1 იტალია





[illegible] ფოტო

ბუბა ტყავაძე, კახა ცხადაძე და ამირან ღიბრაძე

# ყველაფერს ვიწყებთ თავიდან...

## დინამოს დირექტორებმა და მწვრთნელმა ერთმანეთი გაამართლეს

*მაშინ, როცა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები შვებულებაში არიან და მომქანცველი სეზონის მერე ისვენებენ, კლუბის ახალი ხელმძღვანელები ახალი ფეხბურთელების შეძენაზე და ევროსარბიელზე თამაშის წინ გუნდის განახლებაზე ფიქრობენ.*

*„დინამოს" მმართველმა და ტექნიკურმა დირექტორებმა ბუბა ტყავაძემ და ამირან ღიბრაძემ ახალ რანგში გუშინ პირველი პრესკონფერენცია გამართეს და გუნდის მომავალზე ისაუბრეს. დირექტორებს შორის კი მწვრთნელი კახა ცხადაძე მოკალათდა, ვინც „დინამოს" ჩემპიონის დაკარგული ტიტული დაუბრუნა. სხვათა შორის, კლუბის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილს ცხადაძის „დინამოს" მწვრთნელად დანიშვნა ბიძინა ბარათაშვილთან ერთად სწორედ ტყავაძემ და ღიბრაძემ ურჩიეს...*

— ჩვენ ერთი გუნდი, თანამოაზრეები ვართ და ერთნაირი მიზნები გვაქვს — პირველი სიტყვა ბუბა ტყავაძემ თქვა — ვიდრე მმართველ დირექტორად დავინიშნებოდი, ამირან ღიბრაძე კი ტექნიკურ დირექტორად, ჩვენ კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვიყავით და გუნდთან გარკვეული შეხება გვქონდა. მიხარია, რომ მწვრთნელად კახა ცხადაძის დანიშვნისას არ შევცდით, მან გაამართლა და ახლა ჩემპიონები ვართ.

*ამირან ღიბრაძე.* როცა მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნა, გუნდი კრიზისში იყო, ექვს თამაშში „დინამოს" ოთხი წააგო, ერთიც ფრედ ეთამაშა. ცვლილებები აუცილებელი იყო. ცხადაძემ კი გაგვიმართლა. ახლა აღარაა დასამალი, უცხოელი მწვრთნელის მოწვევაზეც ვფიქრობდით, მაგრამ ბოლოს არჩევანი ცხადაძეზე გავაკეთეთ და, როგორც ჩანს, არ შევმცდარვართ. კახამ გუნდში ბევრი რამ შეცვალა და დამსახურებული შედეგიც მიიღო. არადა, წმინდა სპორტულ კრიზისს ფინანსურიც დაერთო. საბედნიეროდ, კლუბის პრეზიდენტის დახმარებით ყველაფერი სწრაფად მოგვარდა.

დირექტორების შემდეგ კახა ცხადაძის ჯერი დადგა, მან თავიდან იმ ორთვიან პერიოდზე ილაპარაკა, „დინამომ" მის ხელში რომ გაიარა:

— კარგია, რომ „დინამოს" ხელმძღვანელებს გავუმართლე და მიზანს მივაღწიეთ. „დინამომ" კრიზისი მალევე დაძლია და ტიტული დავიბრუნეთ — ეს ფაქტი ძალიან მახარებს. არადა, როცა გუნდში მოვედი, ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად გატეხილები იყვნენ, მათ რწმენა ჰქონდათ დაკარგული. სათქმელია ისიც, რომ სეზონის დაწყების შემდეგ „დინამომ" დაუგეგმავი ტრანსფერები გააკეთა და გუნდიდან ძლიერი ფეხბურთელები, ლიდერები გაუშვა, მაგალითად, ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია, ჯაბა კანკავა, გიორგი შაშიაშვილი, ლადო ბურდული. მადლობა ჩემს თანაშემწეებს ზაურ სვანაძესა და გელა ჭანტურიას, მათი დახმარებით გუნდმა სახე დაიბრუნა და ჩემპიონობა შეძლო.

— სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ „დინამოში" გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები. — დვალიშვილი და ნავალოვსკი. ისინი უკვე ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვიეს. შოთა კაშიას სათამაშო პოზიცია შევუცვალეთ, ცენტრალურ მცველად გავამწესეთ, რამაც გაამართლა, თუმც, სამწუხაროდ, მერე დაშავდა და ბოლო მატჩებში ველარ დაგვეხმარა.

— ფეხბურთელები გაურკვეველნი იყვნენ უბურთოდ პოზიციურ თამაშში, არადა, უამისოდ დღევანდელ ფეხბურთში შორს ვერ წახვალ. ვფიქრობ, ჩემი მწვრთნელობის ეს ორი თვე ნაყოფიერი გამოდგა და გუნდს წინსვლა დაეტყო.

— დღესდღეობით „დინამოში" დაკომპლექტების პროცესი მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ.

ამის შემდეგ დირექტორებმა და მწვრთნელმა კითხვებს უპასუხეს:

*ბუბა ტყავაძე.* სადღეისოდ ჩვენი უპირველესი საქმე ფეხბურთელთა კონტრაქტებია. ამ საქმეს მოვაგვარებთ და შემდეგ, შესაძლოა, სტრუქტურული ცვლილებებიც მოვახდინოთ. ვნახოთ, უფრო კონკრეტულად დღეს მეტს ვერაფერს გეტყვით.

— ამ ეტაპზე „დინამოს" მოლაპარაკებები აქვს მხოლოდ ქართველ ფეხბურთელებთან, მაგრამ არ გამოვრიცხავ, შეკრებაზე უცხოელებიც გავსინჯოთ და დავიმატოთ. ერთი კი ვიცით, გუნდის ყველა ახალწვეულთან მაქსიმალურად გრძელვადიან კონტრაქტებს გავაფორმებთ.

*ამირან ღიბრაძე.* დიღმის ბაზაზე ერთი მოედნის საფარი მთლიანად შევცვალეთ და შვებულებიდან გამოსული გუნდი უკვე ახალ მოედანზე ივარჯიშებს. ცოტა ხანში მეორე მოედანსაც მივხედავთ. ისე კი, საფარის შეცვლა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ყველა საქმის ერთდროულად კეთებამ შესაძლოა ბიუჯეტი აზარალოს.

*კახა ცხადაძე.* „დინამოს" საევროპო მიზანი და გუნდის დაკომპლექტება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. რეალურ მიზანს მაშინ დავსახავთ, როცა გუნდი შეივსება. დღესდღეობით ყველა პოზიციაზე მსურს გუნდის გაძლიერება და ბევრ ახალ ფეხბურთელთან გვაქვს მოლაპარაკება. მათ ვინაობას ჯერ ვერ დავასახელებ. გეტყვით, რომ ტრანსფერზე დავაყენეთ ბრაზილიელები რომერო და მეკარე კუნეგატო, ხოლო ლაშა ჭელიძეს გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა.

*თბილისის „დინამო" ახალი სეზონისთვის მზადებას 10 ივნისს დილომში დაიწყებს. 18-ში ჩემპიონები გერმანულ რუიტში მიემგზავრებიან, სადაც რეგიონალლიგის „ფორტცაიხს", „ჰალბრონს" და „რადოლცფელს" ამხანაგურად გაეჯიბრებიან. თბილისელები რუიტში 29-მდე დარჩებიან და იქიდან შვეიცარიას, შაფჰაუზენს მიაშურებენ. „დინამო" 30 ივნისს „სენტ გალენს" შეხვდება, 2 ივლისს „გრასჰოპერს", მეორე დღეს კი მასპინძელ „შაფჰაუზენს". გუნდი შინ 5 ივლისს დაბრუნდება და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მეტოქესთან მატჩს დაელოდება.*

*„დინამოს" პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, გუნდის ახალწვეულთა ვინაობა გერმანიაში გამგზავრების წინ გამოცხადდება. 16-17 ივნისს „დინამო" კიდევ ერთ პრესკონფერენციას ჩაატარებს.*

**კობა ინასარიძე**

# უეფას საკლუბო სია

**აქამდე** ქართველებს საკლუბო ევროტურნირები გამოტირებული გვქონდა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. უსახელო ევროპულ გუნდებთან სამარცხვინო წაგებები ერთიმეორეს ენაცვლებოდა და ნირწამხდარმა ქართველმა ქომაგმაც, როგორც ხდება ხოლმე, გასაკეთილებული „აქცენტი" ნაკრებზე გადაიტანა — იქნებ აქედან მაინც ვიხეიროთ რამეო...

თქვენი ნებართვით, ამ წინადადებას აღარ გავაგრძელებთ, მხოლოდ ერთს ვიტყვით: გინდა კლუბს გულქომაგოთ, გინდა ნაკრებს, საშველი არსაიდან ჩანს და ეტყობა, სწორედ ეს არის რეალობა — იქ ვართ, სადაც უნდა ვიყოთ.

მაგრამ, ზოგადად, ქართველი კაცი გამოუსწორებელი მეოცნებეა და შესაძლოა, ამ სიტყვების წამკითხველთაგან ზოგმა ისიც თქვას, მოდით, ახალ სეზონზე დავიწყოთ ფიქრიო...

მერამდენედ?!

თემას ძალიან რომ არ გავცდეთ, პირდაპირ საქმეზე ვთქვათ: უეფამ გამოაქვეყნა ახალი საკლუბო ცხრილი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება მომავალი, 2005-06 წლების ევროსეზონის მონაწილე კლუბთა რაოდენობა.

ცხრილის მიხედვით საქართველო 34-ე ადგილზეა და კვლავაც სამ გუნდს მიავლენს ევროპაში — ერთი, ანუ თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგაში, თასის მფლობელი (თბილისის „ლოკომოტივი") და მეორეადგილოსანი (ქუთაისის „ტორპედო") კი უეფას თასზე.

განვმარტავთ, რომ წინა, 2004-05 წლების სეზონში ნაჩვენებ შედეგებს ეს ცხრილი არ ითვალისწინებს, ანუ, მაგალითად, „დინამოს" მიერ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრისთვის, ან კიდევ, მოსკოვის ცესკას მიერ უეფას თასის მოგებისთვის მიღებული ქულები ამ ქვეყნებს 2006-07 წლების სეზონის წინ დაერიცხებათ.

**კახა შალამბერიძე**

## უეფას კოეფიციენტთა ცხრილი

| | | |
|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 73, 717 | 8 |
| 2. ინგლისი | 63,224 | 7 |
| 3. იტალია | 61,186 | 7 |
| 4. საფრანგეთი | 49,469 | 7 |
| 5. გერმანია | 48, 989 | 7 |
| 6. პორტუგალია | 44,666 | 6 |
| 7. ჰოლანდია | 39,831 | 6 |
| 8. საბერძნეთი | 35,498 | 6 |
| 9. ბელგია | 31,750 | 4 |
| 10. შოტლანდია | 31,750 | 4 |
| 11. თურქეთი | 29,916 | 4 |
| 12. ჩეხეთი | 27,950 | 4 |
| 13. რუსეთი | 25,666 | 4 |
| 14. ავსტრია | 24,875 | 4 |
| 15. უკრაინა | 24,850 | 5 |
| 16. ისრაელი | 21,874 | 4 |
| 17. სერბეთი | 21,249 | 4 |
| 18. პოლონეთი | 21,000 | 4 |
| 19. შვეიცარია | 20,875 | 4 |
| 20. ნორვეგია | 20,200 | 4 |
| 21. ბულგარეთი | 18,540 | 4 |
| 22. ხორვატია | 18,125 | 3 |
| 23. დანია | 17,200 | 3 |
| 24. უნგრეთი | 16,331 | 3 |
| 25. რუმინეთი | 15,457 | 3 |
| 26. შვედეთი | 15,383 | 4 |
| 27. სლოვაკეთი | 11,665 | 3 |
| 28. სლოვენია | 9,665 | 3 |
| 29. კვიპროსი | 8,165 | 3 |
| 30. ბოსნია | 7,165 | 3 |
| 31. ლატვია | 6,664 | 3 |
| 32. ფინეთი | 6,540 | 3 |
| 33. მოლდოვა | 6,332 | 3 |
| 34. საქართველო | 6,165 | 3 |
| 35. ლიტვა | 5,332 | 3 |
| 36. ისლანდია | 4,832 | 3 |
| 37. მაკედონია | 4,497 | 3 |
| 38. ირლანდია | 4,164 | 3 |
| 39. ბელარუსი | 4,082 | 3 |
| 40. ლიხტენშტაინი | 4,000 | 1 |
| 41. სომხეთი | 2,998 | 4 |
| 42. მალტა | 2,998 | 3 |
| 43. ალბანეთი | 2,665 | 3 |
| 44. ესტონეთი | 2,498 | 3 |
| 45. ჩრ. ირლანდია | 2,165 | 3 |
| 46. უელსი | 1,832 | 3 |
| 47. ლუქსემბურგი | 1,665 | 3 |
| 48. აზერბაიჯანი | 1,332 | 3 |
| 49. ფარერები | 0,999 | 3 |
| 50. ყაზახეთი | 0,666 | 0 |
| 51. ანდორა | 0,000 | 1 |
| 52. სან მარინო | 0,000 | 1 |




# შალკე ხიზანიშვილს ელაპარაკება

**დაახლოებით** ორი კვირის წინ ვწერდით, რომ საქართველოს ნაკრებისა და შოტლანდიური „რეინჯერსის" მცველ ზურაბ ხიზანიშვილით გერმანული „შალკე" დაინტერესდა. სიტყვა საქმედ მალევე იქცა და ამ რამდენიმე დღის წინ გელზენკირხენელები ჩვენებურის აგენტ ივან ბენეშს დაუკავშირდნენ, შაბათს კი ტირანაშიც ჩავიდნენ და ალბანეთ — საქართველოს მატჩს დაესწრნენ.

ვფიქრობთ, საინტერესოა, რას ფიქრობს ამ შესაძლო ტრანსფერის თაობაზე ივან ბენეში და ჩვენც მას გუშინ დავუკავშირდით, თუმც დეტალებზე კონკრეტული პასუხები, ბუნებრივია, ვერ მივიღეთ...

— ვადასტურებ, რომ „შალკეს" სურს ხიზანიშვილის შეძენა, მაგრამ უფრო მეტს ვეღარ გეტყვით.

— „შალკესგან" კონკრეტული წინადადება თუ მიიღეთ?

— ახლა მოლაპარაკების სტადიაში ვართ და რა როგორ იქნება, ჯერ არ ვიცი. ვნახოთ, თუ შევთანხმდებით, საქმეც გამოვა.

— რეინჯერსი" რას ფიქრობს ამ ტრანსფერის თაობაზე?

— მოლაპარაკებებში „რეინჯერსის" აზრიც იქნება გათვალისწინებული და ეს ბუნებრივიცაა.

— შეგიძლიათ, გვითხრათ, რა სტადიაშია ახლა მოლაპარაკება?

— არა, დეტალები კონფიდენციალურია და ვერაფერს გეტყვით, ვადასტურებ მხოლოდ იმას, რომ „შალკესთან" ტრანსფერის თაობაზე ვმუშაობთ. ალბათ რამდენიმე დღეში უფრო მეტის თქმა შემეძლება.

**ძახა შალამბერიძე**

# შოთა და ალკმაარი: ვან გაალის ფაქტორი

**შოთა არველაძე** დღე-დღეზე ჩავა ჰოლანდიაში და იქაურ „ალკმაართან" ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია. მხარეებმა ყველაფერზე მოილაპარაკეს და თუ რამე სასწაული არ მოხდა, არველაძე სწორედ „ალკმაარში" ითამაშებს.

არადა, ამ ცოტა ხნის წინ შოთას გადაბირების სურვილი სხვა კლუბებმაც („კიოლნი", „ტრაბზონსფორი") გამოთქვეს, მაგრამ, ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. თანაც არველაძეს „ალკმაარში" თავისი ძველი ნაცნობი ლუის ვან გაალი დახვდება მწვრთნელად და ამ ტრანსფერში ეს მომენტიც არ თამაშობს უბრალო როლს.

**ძახა შალამბერიძე**

# თბილისის ANTI ინტერტოტო
## რა დროს ევროპაა, კლუბი აღარ არსებობს

**„თბილისი"** ინტერტოტოს თასზე არ ითამაშებს — გადაჭრით გვითხრეს კლუბის პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ და დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა. ამ შემთხვევაში გუნდს 300 000 დოლარის ჯარიმა ეკისრება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთის ფედერაციას უეფაში გაგზავნილი ექნება წერილი „თბილისის" ამ ტურნირში მონაწილეობის თანხმობით.

გუგეშაშვილმა ლიად თქვა, ინტერტოტოზე კი არა, ჩემპიონატში მონაწილეობასაც აღარ ვაპირებთო: „ჩვენს ნაცვლად სხვა კლუბი ითამაშებს ევროტურნირზე — ამ შემთხვევაში არავითარი 300 000 დოლარი არ გვექნება გადასახდელი".

ნიკა დოლიძეს მკაფიოდ არ უთქვამს, გუნდი იშლებაო, თუმცა ინტერტოტოზე გასვლა მანაც გამორიცხა: „ფედერაციის წარმომადგენლებს შევხვდით, ზუსტად არ ჩამოყალიბებულა, ვინ ითამაშებს ჩვენს მაგივრად ინტერტოტოზე და დაგვეკისრება თუ არა ჯარიმა მასში არმონაწილეობისთვის. ეს საკითხი ხვალ ან ზეგ გადაწყდება".

ამასობაში „ზესტაფონიც" უარს აცხადებს ინტერტოტოზე თამაშზე და ყველაზე რეალურად „ვიტ ჯორჯიას" ვარიანტი მოჩანს, რომელიც ამ ტურნირზე გასვლას არასოდეს უარობდა. ვიტელთა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ გადაჭრით ვერ გვიპასუხა: „გუნდი 17 ივნისამდე შვებულებაშია. ადრე რომ გვცოდნოდა „თბილისის" პოზიცია, მაშინ შესაძლოა, დავთანხმებულიყავით. ახლა კი მოსაფიქრებელი გვაქვს".

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა · საქართველოს პირველი ლიგა · ჩემპიონატი · 16 მეორე წრე · 30 ტური

# ამერი მერმისს ჩემპიონობით ეგებება
## ამერი-კა არ აღმოჩენილა: ამერის საჩემპიონო აკორდი

**ილია ნანობაშვილი**

თბილისი. 6 ივნისი. 17.30 საათი. ფქ ამერის სკოლა. 350 მაყურებელი

**ამერი 2:1 ბორჯომი**

1:0 ბურნაძე (40ა.კ.), 2:0 დეკანოსიძე (66), 2:1 ვარდიაშვილი (88)

**ამერი:** ნაჭყებია, დავითნიძე, ხვადაგიანი, ზ. ჯელაძე, კუდელაშვილი, დეკანოსიძე, სილაგავა (გ. ჩხეტიანი 64), ზ. ჯელაძე, კაიდარაშვილი (ბერუჩავა 75), დავითაშვილი, სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 64)
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ბორჯომი:** ა. ლაბაძე, ხ. ბურნაძე, სუხიაშვილი, გ. ნოზაძე, ლეკიშვილი, გვირჯიშვილი, დ. ჯანაშია (ვარდიაშვილი 69), გაბისკირია, ქვლივიძე, მუშკუდიანი, როსტიაშვილი (წიფნიაძე 21)
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**გაფრთხილება:** ზ. ჯელაძე (10), ბურნაძე (32), სუხიაშვილი (39), გვირჯიშვილი (44), დეკანოსიძე (49), ლეკიშვილი (65)

**მსაჯი:** ა. კრიჭაშვილი; მ. ურუშაძე, ი. აფციაური; ა. მეშკოვი

**უკვე** უმაღლესლიგელმა „ამერმა" ასევე უმაღლესდაბევებულ „ბორჯომს" ბოლო ტურშიც მოუგო და ალალად დაიმსახურა პირველი ლიგის ჩემპიონობა! მთავარი გასარკვევი ამ თამაშში სწორედ ეს იყო — ორი თანაბარქულიანი გუნდის შეხვედრა ფრედ თუ დამთავრდებოდა, პირველობა თბილისელებს დარჩებოდათ, თუმცა გიორგი ჩიხრაძის ბიჭებს შინ ერთ ქულაზე თამაში არ უკადრიათ.

პირიქით, ასე მეათე-მეთხუთმეტე წუთიდან „ბორჯომის" ნახევარზე დასახლდნენ და გოლს ნელ-ნელა ამწიფებდნენ. განსაკუთრებით „ამერის" მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილი აწრიალებდა სტუმართა დაცვას — სეზონში 30 გოლის გამტანმა ფორვარდმა ჯერ ოდნავ ააცილა ხელსაყრელი ადგილიდან, მერე კი ბორჯომელთა მეკარე ავთანდილ ლაბაძეს ახლო მანძილიდან ხელებში შეაჩეჩა ბურთი. ამას გარდა, ალექსანდრე კაიდარაშვილის სანტიმეტრებით აცილებული საჯარიმოც უნდა აღვნიშნოთ.

ტაიმის მიწურულს სოსო ფრუიძის გაწვრთნილებმაც გაიწიეს გასატანად და სანდრო ბურნაძის მძლავრმა დარტყმულმა კინაღამ მიზანს უწია. ვეტერანმა იური გაბისკირიამაც გაისროლა ჩვეულად, მაგრამ „ამერს" მეტად აღარ გაუთამამებია სტუმარი და აქეთ მოინადირა გოლი: მარცხნიდან შეჭრილმა გიორგი სილაგავამ მეკარის ბაქანზე გააკეთა პასი, სადაც ბურნაძე დაიბნა და... საკუთარ კარში გადაგზავნა ბურთი — 1:0. ამ მომენტს ბორჯომელთა ხმაურიანი პროტესტი მოჰყვა: ისინი თანამსაჯ მამუკა ურუშაძეს მისცვივდნენ, თამაშგარეს „მაუწყებელი" ალამი რომ აწიე, ძირს რატომღა დაუშვიო... ასეა თუ ისე, „ამერი" შესვენებაზე ერთბურთიანი მარაგით გავიდა.

მეორე ნახევრის დასაწყისი დუნე გამოდგა, მასპინძლები მინდვრის ცენტრში ისევ კი ბატონობდნენ, მაგრამ გაშმაგებულ შეტევებზე არ გადასულან. მე-60 წუთზე ისევ დავითაშვილს შეეძლო კიდევ ერთი გოლით ყულაბის შევსება, მაგრამ დარტყმა დაახანა და მცველებიც მარჯვედ ჩაუხტნენ ფეხებში. ორიოდ წუთში ლაბაძემ მკვდარი ბურთი აუღო კაიდარაშვილს, თუმცა მალე გიორგი დეკანოსიძემ იყოჩაღა — იდეალურად შეასრულა საჯარიმო და ბურთი ძელიდან ასხლეტით შეფართხალდა კარში.

თამაში ისევ „ამერის" კარნახით გაგრძელდა, შეცვლაზე შესულმა გივი ჩხეტიანმა და რატი წინამძღვრიშვილმაც იაქტიურეს, პირველ ტაიმში ჩრდილში მყოფი გიზო ჯელაძეც უკეთ ათამაშდა და თბილისელები მესამე გოლს ამზადებდნენ, მაგრამ აქეთ გაუშვეს — ნაკუთხურალ ბურთს ბორჯომელთა შეცვლაზე შესულმა დავით ვარდიაშვილმა შეაგება ზუსტი დარტყმა და თავისიანებისთვის ანგარიში შეალამაზა, „ამერს" კი ოდნავ თუ წაუხდინა გუნება.

აქვე შეგახსენებთ, პირველ წრეში ჩიხრაძის გუნდმა სტუმრად 4:0 აჯობა „ბორჯომს"...

ნამატჩევს „ამერიც" და „ბორჯომიც" სახელმილიანი ტოვებდა მინდორს: რატომაც არა?! მალე ხომ ჯერაც უნახავ უმაღლეს ლიგას ნახავენ.

**კახეთი 5:2 მაღაროელი**

**სპარტაკი 3:3 რუსთავი**

**ოლიმპი 0:1 ცხინვალი**

**იბერია 3:0 გურია**

**ლოკომოტივი 2 1:0 მერანი**

**დინამო 2 1:4 ვიტ ჯორჯია**

**ჩიხურა 5:1 საგარეჯო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 30 | 23 | 3 | 4 | 93:18 | 72 |
| ბორჯომი | 30 | 22 | 3 | 5 | 74:36 | 69 |
| სპარტაკი | 30 | 16 | 9 | 5 | 52:36 | 57 |
| კახეთი | 30 | 17 | 4 | 9 | 56:41 | 55 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 16 | 7 | 7 | 49:27 | 55 |
| დინამო 2 | 30 | 16 | 1 | 13 | 64:50 | 49 |
| ცხინვალი | 30 | 14 | 4 | 12 | 39:37 | 46 |
| ჩიხურა | 30 | 12 | 7 | 11 | 38:35 | 43 |
| გურია | 30 | 10 | 8 | 12 | 30:45 | 38 |
| ლოკომოტივი 2 | 30 | 10 | 8 | 12 | 33:40 | 38 |
| რუსთავი | 30 | 10 | 7 | 13 | 39:42 | 37 |
| ოლიმპი | 30 | 10 | 5 | 15 | 35:44 | 35 |
| *იბერია* | 30 | 10 | 5 | 15 | 31:45 | 35 |
| *მერანი* | 30 | 8 | 4 | 18 | 35:53 | 28 |
| *საგარეჯო* | 30 | 4 | 5 | 21 | 26:70 | 17 |
| *მაღაროელი* | 30 | 0 | 4 | 26 | 17:92 | 4 |




დავით სევასტოპულომ (შუაში) და „ამერმა" პირველ ლიგაში „ბორჯომის" ძლევით იჩემპიონეს

# თურმე არნესენიც მიიპარებოდა



„ჩელსისთან" საიდუმლო გარიგებაში ფრენკ არნესენიც დაადანაშაულეს

**ჯერ** ეშლი კოულთან დაკავშირებული სკანდალი არ ჩამცხრალა და „ჩელსი" ახალ საქმეში ეხვევა. „ტოტენჰემის" ტექნიკურ დირექტორს, ფრენკ არნესენს სწორედ ამ კლუბში გადაუწყვეტია გადასვლა იგივე თანამდებობაზე და მასაც, ეშლი კოულისა არ იყოს, თავისი კლუბისთვის არაფერი უთქვამს. არნესენმა კარგადააწყო საქმე „ტოტენჰემში" და „ჩელსისაც" ამიტომ მონდომებია.

ამის შემტყობ „ტოტენჰემს" არნესენისთვის დისკვალიფიკაცია მიუცია და ფეხბურთის ასოციაციაში საჩივლელად ემზადება. თუ არადა, 10 მილიონ გირვანქას მოითხოვს. „ჩელსის" კი უცნობებია „ტოტენჰემისთვის" ამის შესახებ, მაგრამ უკვე მას შემდეგ, რაც არნესენთან საქმე გაურჩარხავს ანუ, „ტოტენჰემს" მიაჩნია, რომ „ჩელსიმ" კანონი დაარღვია და ჯერ არნესენს მიმართა, მერე კი მის კლუბს.

აბრამოვიჩის კლუბი სწორედ ორიოდ დღის წინათ დასაჯეს ჯამურად ნახევარი მილიონი გირვანქით „არსენალის" გვერდის ავლით კოულთან ლაპარაკისთვის.

გაზეთ „სანის" ცნობით, „ჩელსი" 2 მილიონ გირვანქას სთავაზობს „ტოტენჰემს" პრობლემის მოსაგვარებლად. ახალი საკომიტეტო მოსმენა „ჩელსის" არ უნდა, რადგან ფულად ჯარიმასთან ერთად, სამი ქულის ჩამოჭრის საშიშროებაც დიდია.

„ტოტენჰემი" მთლად წინააღმდეგი არ უნდა იყოს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# იუვე სანახევროდ დაიგდება



„იუვენტუსის" სამიდან ერთ-ერთი ახალწვეული ხორვატი რობერტ კოვაჩია

**„იუვენტუსმა"** ახალი სეზონისთვის ამ დღეებში ორი ფეხბურთელი — ჯულიანო ჯანიკედა და რობერტ კოვაჩი დაიმატა.

მოგეხსენებათ, ამაზე საუბარი დიდი ხანია, მიმდინარეობდა და მხარეებმა საბოლოოდ შეძლეს შეთანხმება. ორივე მათგანი, შესაბამისად, „ლაციოდან" და „ბაიერნიდან", „ბებერი ქალბატონის" რიგებში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. კლუბის ხელმძღვანელობა კონტრაქტების დეტალებს ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს, ვიდრე ყველაფერი ოფიციალურად არ გაფორმდება.

„ეს ჩვენთვის შედარებით უჩვეულო სეზონი იყო. საბოლოოდ სკუდეტოს მოპოვება მაინც შევძელით და დავამტკიცეთ, რომ „მილანზე" ძლიერები ვართ. ამიტომ განსაკუთრებული ცვლილებები არ გვჭირდება, მითუმეტეს, კოვაჩისა და ჯანიკედას მოსვლის შემდეგ. ისინი უმაღლესი კლასის მოთამაშეები არიან" — თქვა „იუვენტუსის" გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ.

გარდა ამისა, მოჯიმ ისიც აღნიშნა, რომ გუნდში აუცილებლად დაბრუნდება „ფიორენტინაში" განათხოვრებული ჯორჯო კიელინი — ფაქტობრივად, ყველაფერი მოგვარებულია და საბოლოოდ უახლოეს დღეებში შევთანხმდებით.

კომენტარები გააკეთა „იუვენტუსის" ერთ-ერთმა მმართველმა ანტონიო ჯირაუდომაც. მან ერთხელაც განაცხადა, ძამბროტა და დელ პიერო გუნდში რჩებიანო. მოგეხსენებათ, პირველ მათგანს „ჩელსი" უტრიალებს, ხოლო მეორეს ფაბიო კაპელოსთან აქვს უთანხმოება.

ანტონიო ჯირაუდო: „ძამბროტა და დელ პიერო მომავალ სეზონსაც „იუვენტუსში" გაატარებენ. ჭორებს ნუ აჰყვებით. ჩვენი მიზანია, როგორც ევროპაში, ასევე სერია A-ში წარმატებით გამოვიდეთ. რაც შეეხება ანტონიო კასანოს, იგი ჩინებული თავდამსხმელია, მაგრამ ჩვენ უკვე ხუთი ფორვარდი გვყავს და ვფიქრობ, ეს საკმარისია".

**გიორგი კაკაბაძე**



# დიეგო მარადონა ერთხელაც ამხილეს

**თითქოს,** ეს მარადონას კი არა, ღმერთის ხელია — ფოტოზე რომელიც თქვენს წინაშეა, 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე სახელგანთქმული და სკანდალური ეპიზოდია ასახული — არგენტინის ნაკრების კაპიტან დიეგო მარადონას ინგლისელთა მეკარე პიტერ შილტონის კარში პირველი გოლი გააქვს.

მოგეხსენებათ, მაშინ რა აურზაურიც ატყდა ამ გოლის თაობაზე, თუმც არგენტინელმა ვარსკვლავმა მატჩის მერე საქვეყნოდ განაცხადა, ვერაფერს გეტყვით, ეს ჩემი კი არა, ღმერთის ხელი იყო.

ახლა კი CANAL+-ის მაყურებელი ტელერეპორტიორთა წყალობით, ალბათ, უეჭველად დარწმუნდებით, თუ ვინ დაჰკრა შილტონის თავს ზემოთ აფარებულ ბურთს მარცხენა ხელი — მარადონას ინგლისელები ნაღდად აკრძალული ხერხით დაუმწუხრებია.

ყოველივეს ხილვის საშუალება კი CANAL+-ის მაყურებლებს გუშინ ჰქონდა და როგორც იტყობინებიან, კადრებს იმავე არხზე კვირის თავზეც გაიმეორებენ.

**ლადო ხომერიკი**



ლუჩანო სპალეტიმ „უდინეზე" მოულოდნელად დატოვა

# სპალეტიმ ამოწურა

**რამდენად** გამართლებულია ლუჩანო სპალეტის საქციელი ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია — 45 წლის მწვრთნელმა გუშინ „უდინეზე" დატოვა. არადა, უდინური კლუბს სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში მოუწევს თამაში.

„დიახ, წასვლა გადავწყვიტე. ჩემი სამწლიანი მოღვაწეობა ამ გუნდში დასრულებულია — განაცხადა ლუჩანო სპალეტიმ „გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში — ვფიქრობ, რომ ამ კლუბში ჩემი შესაძლებლობები სრულად ამოვწურე. ახლა კი მინდა, თავი „უდინეზეზე" გაცილებით მაღალი დონის კლუბში გამოვცადო".

„ემპოლისა" და „სამპდორიას" ყოფილი ბოსი განაგრძობს: „გადაწყვეტილება პირველად „უდინეზეს" ტექნიკურ დირექტორს გავანდე. მან მთხოვა, ნუ იჩქარებ, კარგად დაფიქრდი, ხელს ყველანაირად შეგიწყობთო, მაგრამ ვიუარე. ხოლო თუ რატომაც, ზემოთაც გითხარით".

აი, გავრცელებული ინფორმაციით კი, ლუჩანო სპალეტის „რომა" უკვე დაუკავშირდა, სამსახურს სამი წლით გთავაზობთო.

„რომა? ვერაფერს გეტყვით. ამ წუთისთვის პირადად არავის დაუკავშირებია" — დასძენს მწვრთნელი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მაინც და ვილაც

**მომავალ** სეზონში უეფას თასზე გამოსვლის უფლება, ოღონდ არა კარგი თამაშის, არამედ თანამემამულეთა კარგი ყოფაქცევის გამო, გერმანულმა „მაინცმა" და მავანმა დანიურმა კლუბმა მოიპოვა. დანიური კლუბი მავანი იმიტომაა, რომ ამ ქვეყანაში ჩემპიონატი ანუ იქაური სუპერლიგა ჯერ არ დამთავრებულა და საკუთრივ დანიის ფეხბურთის ფედერაცია ვერ ასახელებს კონკრეტულ კლუბს. ცნობისთვის: დანიაში ეროვნული პირველობა 19 ივნისს მთავრდება.

ამ ორ გუნდს გარდა ფეარ პლეის გზით უეფაზე გასვლის შანსი ჰქონდათ შვედურ „ჰამარბის", ესტონურ „ტულევიკს", ინგლისურ „ტოტენჰემსა" და ირლანდიურ „ლონგ ბოისს". მათ შორის გამარჯვებული კენჭისყრამ ქალთა ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩის, ინგლის-ფინეთის შეხვედრისას დაასახელა.

დავძინოთ, რომ ეგრეთწოდებულ ფეარ პლეის ლიგაში პირველ ადგილზე გასული ნორვეგიული გუნდი „ვიკინგი" ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე პირდაპირ გავიდა უეფას თასზე.

**პაპუნა ძიძია**

# დეპორტივომ კაპაროსი შეიგულა



ხოაკინ კაპაროსს საფიქრალი ბევრიც არაფერი აქვს

„სევილიას“ ყოფილი მწვრთნელი ხოაკინ კაპაროსი მალე გალისიურ „დეპორტივოს“ ჩაუდგება სათავეში.

როგორც მადრიდული „ასი“ გვატყობინებს, კაპაროსმა და ლაკორუნიული კლუბის პრეზიდენტმა აუგუსტო სესარ ლენდოირომ სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწიეს და ექს-სევილიელის „რიასორზე“ მისვლას მხოლოდ დაინტერესებულ მხარეთა ოფიციალური ხელმოწერაღა სჭირდება.

მოგეხსენებათ, „დეპორის“ უფროსობა ხავიერ ირურეტასთან დამშვიდობების მერე რამდენიმე კანდიდატთან აპირებდა მოლაპარაკებას, მაგრამ „სარაგოსას“ ვიქტორ მუნიოსმა, „ბილბაოს“ ერნესტო ვალვერდემ და „ოსასუნას“ ხავიერ აგირემ ლენდოიროს უარი უთხრეს. სხვა რა ჩარა იყო? პრეზიდენტმაც კაპაროსი ამჯობინა.

„ამჟამად დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. მაგრამ, მე თანახმა ვარ და უმჯობესი იქნება, კონტრაქტს ხელს მალე თუ მოვაწერთ, რათა მომავალი სეზონისთვის მზადება დროულად დავიწყოთ — უთხრა კაპაროსმა ესპანურ მედიას — ლა კორუნიაში ორიოდ დღის წინ ვიყავი. „დეპორტივო“ შესანიშნავი, ბრძოლისუნარიანი გუნდია და გულშემატკივრებიც ჩინებული ჰყავს. ხალხი ქუჩაში მცნობდა, მაჩერებდა და „რიასორზე“ ჩემი შესაძლო მისვლის ამბავს მეკითხებოდა. ისეთ შთამბეჭდილება დამრჩა, რომ ისინი ფეხბურთზე სიგიჟემდე არიან შეყვარებულნი, რაც ჩემგან ოდენ პატივისცემას იმსახურებს“.

**ლადო ხომერიკი**

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა



რონალდინიომ პარაგვაელი ხუსტო ვილარის კარში ორი პენალტი გაიტანა

# დიდი დერბის წინ

## პარაგვაი კარგი იყო, ახლა არგენტინის ჯერია

### XIV ტური

**ბრაზილია 4:1 პარაგვაი**

1:0, 2:0 რონალდინიო (33პ, 42პ), 3:0 ზე რობერტო (71), 3:1 სანტა კრუზი (73), 4:1 რობინიო (83)

ბრაზილია: დიდა, ბელეტი, ლუსიო, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ემერსონი (ჟილბერტო სილვა 75), ზე რობერტო, კაკა, რონალდინიო, ადრიანო (რ. ოლივეირა 76), რობინიო (ჟუანი 84)

პარაგვაი: ვილარი, კანისა, მანსური, გამარა, და სილვა, ორტისი, კ. პარედესი, ა. ტორესი, სანტა კრუზი, კუევასი (ს. კაბანასი 66), ბარეტო (ბონეტი 46)

გაძევება: ლუსიო (79)

მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)

60 000 მაყურებელი

**ბრაზილიამ** სამთამაშიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა და არგენტინასთან დიდი დერბის წინ მეტოქესთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს კაპიტანი კაფუ და ერთ-ერთი ლიდერი, რონალდო არ ჰყავდა, მასპინძლები ძალიან იოლად გაუსწორდნენ პარაგვაის, რომელმაც ამ წაგებით სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაირთულა.

პენტაკამპეონთა უპირატესობა პირველი წუთებიდანვე საგრძნობი იყო, თუმც კარგად თამაშობდა პარაგვაელთა მეკარე ხუსტო ვილარი — იგი ორჯერ ადრიანოს ჩაუხტა ფეხებში, ერთხელაც ჩინებული ნახტომით კაკას გამოზომილი დარტყმული მოიგერია.

გარდამტეხი გამოდგა მატჩის 33-ე წუთი, როდესაც რობერტო კარლოსის ჩაწოდებული ბურთი კარლოს ბონეტის ხელზე მოხვდა და ურუგვაელმა არბიტრმა მარტინ ვასკესმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. თერთმეტმეტრიანი მთლიანობაში საკმაოდ კარგად მოთამაშე რონალდინიომ ზუსტად შეასრულა.

ტაიმის მიწურულს რობინიო პარაგვაელთა საჯარიმოში დაეცა, როგორც ვიდეოგამეორებამ აჩვენა, თავისი ინიციატივით, მაგრამ ვასკესმა ამჯერადაც პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა და რონალდინიოს მეორედ გაატანინა.

მეორე ნახევრის დებიუტში ზე რობერტომ კაკასთან გათამაშებული კედლის შემდეგ ბურთი ხარიხას გაარტყა, თუმც 71-ე წუთზე „ბაიერნის“ ნახევარმცველმა თავისი გოლი მაინც გაიტანა — მან დაახლოებით 25 მეტრიდან მშვენიერი მოჭრილი დარტყმით დალაშქრა ვილარის კარი.

აქედან ორ წუთში კი ზე რობერტოს მიუნხენელმა თანაგუნდელმა როკე სანტა კრუზმა ერთი გოლი გაქვითა. მისი თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ლუსიოს კეფაზე გაეხახუნა და დიდას კარის ბადეში გაეხვა.

79-ე წუთზე ლუსიომ კარლოს პარედესთან იუხეშა და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო. ამან მასპინძელთა მცველი ძალიან გააბრაზა, რადგანაც იგი არგენტინასთან მატჩში ველარ იბურთავებს.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიელებმა შეხვედრა მალე დააწყნარეს და საბოლოო წერტილიც დასვეს — მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე ზე რობერტომ ყმაწვილი რობინიო ვილარს შეატოვა და 21 წლის ფორვარდმაც ბურთი მშვიდად გადაგზავნა მეტოქის კარში.

მთლიანობაში რობინიომ საკმაოდ კარგა ითამაშა და კარლოს ალბერტო პარეირას იმედი გაუმართლა. ასევე უნდა გამოვარჩიოთ რონალდინიო, კაკა და ზე რობერტო. რაც შეეხება ადრიანოს, „ინტერის“ ფორვარდისთვის ეს განსაკუთრებული თამაში ნამდვილად არ ყოფილა. იგი შედარებით ინერტულად გამოიყურებოდა. პარაგვაელთაგან კი, მიუხედავად ოთხი გაშვებული გოლისა, საუკეთესოდ შეიძლება მეკარე ვილარი მივიჩნიოთ.

ვთქვათ ისიც, რომ პორტუ ალეგრეში, ამ თამაშმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. სტადიონი თითქმის სავსე იყო და ქომაგები ძალიან ბევრ მაშხალას ისროდნენ, ამის გამო მატჩი 5 წუთით გვიანაც დაიწყო, ხოლო შეხვედრის დასრულების შემდეგ სამართალდამცავებს გულშემატკივართა დასაშოშმინებლად და მოედნის გასაწმენდად დიდი ჯაფა დაადგათ.

„კონკრეტულად ვინმეს გამორჩევა ახლა არ მინდა. მიხარია, რომ ყველამ კარგად ითამაშა და ასეთ შედეგს მივაღწიეთ. პარაგვაი საკმაოდ ძლიერი გუნდია და მასთან ამგვარი სხვაობით გამარჯვება იოლი საქმე ნამდვილად არ არის“ — თქვა ბრაზილიელთა თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ პრესკონფერენციაზე.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 14 | 8 | 4 | 2 | 24:14 | 28 |
| ბრაზილია | 14 | 7 | 6 | 1 | 25:13 | 27 |
| ეკვადორი | 14 | 7 | 2 | 5 | 21:15 | 23 |
| პარაგვაი | 14 | 5 | 4 | 5 | 17:21 | 19 |
| კოლუმბია | 14 | 4 | 5 | 5 | 17:12 | 17 |
| ჩილე | 14 | 4 | 5 | 5 | 15:15 | 17 |
| ურუგვაი | 14 | 4 | 5 | 5 | 19:26 | 17 |
| ვენესუელა | 14 | 4 | 3 | 7 | 15:21 | 15 |
| პერუ | 14 | 3 | 5 | 6 | 13:19 | 14 |
| ბოლივია | 14 | 4 | 1 | 9 | 16:26 | 13 |

## იტალია

### სერია C. პლეი ოფი საპასუხო მატჩები

აველინო — რეჯანა 2:2 (2:1); მანტოვა — ფროზინონე 1:0 (4:2); ნაპოლი — სამბენედეტეზე 2:0 (1:1); პავია — გროსეტო 2:0 (1:1)

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXXVI ტური

ბრაუნშვაიგი — არმინია (მ) 3:2; ქემნიცი — ლიუბეკი 0:1; ჰერტა (მ) — ზანქტ პაული 1:1; კილი — ოსნაბრიუკი 0:1; მიუნსტერი — დორტმუნდი (მ) 5:5; იურდინგენი — უნიონი 0:2; ვერდერი (მ) — დიუსელდორფი 1:1; ვოლფსბურგი (მ) — პადერბორნი 0:4; ვუპერტალი — ჰამბურგი (მ) 4:3

### სამხრეთ რეგიონალლიგა XXXIV ტური

შტუტგარტი (მ) — ბაიერნი (მ) 2:1; აუგსბურგი — რეგენსბურგი 1:2; დარმშტადტი — ზიგენი 2:3; კობლენცი — კიკერსი 0:0; მაინცი (მ) — ოფენბახი 0:1; პფულენდორფი — ჰოფენჰაიმი 0:2; მიუნხენი (მ) — ფოიხტი 1:1; ვეჰენი — ნოტინგენი 3:1; აალენი — ელვერსბერგი 2:2

## ნორვეგია

### I დივიზიონი. X ტური

ალტა — ჰიოდი 3:1; ბრინი — სკეიდი 5:1; ჰიონეფოსი — კონგსვინგერი 2:1; ლოვ ჰამი — ფოლო 1:0; მოსი — სოგნდალი 2:2; პორს გრენლანდი — სანდეფიორდი 1:1; სტრიომსგოდსეტი — ტონსბერგი 0:1

## აშშ

### მეიჯორ ლიგ სოკერ ლიგა XII ტური

ჩიკაგო — ჩივასი 5:2; ნიუ ინგლენდი — კანზასი 1:1; ლოს ანჯელესი — ნიუ იორკი 2:2; სოლტ ლეიკი — დალასი 0:2; სან ხოსე — ვაშინგტონი 0:0

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XII ტური

დერი სიტი — დროჰედა 3:0; შემროკი — ბოჰემიანსი 1:2; სენტ პატრიკსი — ბრეი 2:0; დუბლინი — შელბურნი 1:1; უოტერფორდი — ლონგფორდი 0:3. *კორკ სიტი — ფინ ჰარპსი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა VIII ტური

ჰაკა — ინტერი 1:1; ტპ-47 — მიუპა 0:1; ჰიკ — ალიანსი 2:2; კუოპიო — მარიეჰამნი 2:2; კტპ — როვანიემი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 7 | 4 | 2 | 1 | 8:4 | 14 |
| ჰიკ | 7 | 3 | 4 | 0 | 10:5 | 13 |
| ჰაკა | 7 | 3 | 4 | 0 | 7:4 | 13 |
| მიუპა | 7 | 3 | 3 | 1 | 10:4 | 12 |
| მარიეჰამნი | 7 | 3 | 3 | 1 | 7:6 | 12 |
| ინტერი | 8 | 2 | 5 | 1 | 8:3 | 11 |
| კტპ | 7 | 3 | 2 | 2 | 7:7 | 11 |
| ალიანსი | 7 | 1 | 5 | 1 | 8:7 | 8 |
| ტურკუ | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| ლაჰტი | 7 | 2 | 1 | 4 | 12:14 | 7 |
| კუოპიო | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| ტპ 47 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:7 | 4 |
| როვანიემი | 7 | 0 | 4 | 3 | 4:10 | 4 |
| იარო | 7 | 0 | 3 | 4 | 2:11 | 3 |

## დანია

### I დივიზიონი. XXVIII ტური

ბრიონშიოი — ვაილე 2:2; დალუმი — ნესტვედი 4:3; აკადემისკი — სკიოლდი 2:3; ბ-93 კოპენჰაგენი — ჰელერუპი 0:5; იოლსტიკე — სიონდერიულანდი 0:0; კიოგე — ფრედერისია 2:0; ნიკიობინგი — ფრემადი 5:0. *ჰორსენსი — ფრემი ზეგ გაიმართება*

## ამხანაგური მატჩები

იამაიკა 0:0 ჰონდურასი

სინგაპური 2:0 მალაიზია

# თუ ოცნებაა, ოცნება იყოს

## არიგო საკი: ფიგუ პირველი სიყვარულივითაა, არ დაგავიწყდება

*ესპანური პრიმერადივიზიონის დასრულებისთანავე, მადრიდის „რეალის“ მმართველმა სამეულმა — პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა, ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ და საფეხბურთო დირექტორმა არიგო საკიმ — გუნდის გაძლიერებაზე დაიწყეს ფიქრი. ცხადია, გაძლიერებაში იმ ფეხბურთელების შეძენა იგულისხმება, რომლებისთვისაც მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოს დაუდგამს თვალი. ასეთებად კი ესპანური პრესა იმდენ მოთამაშეს ასახელებს, „ელ გალაქტიკოს“ თავკაცს ცალკე გუნდის გაკეთებაც შეეძლება. ქვემოთ სწორედ იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალს გაგაცნობთ, რომლებიც მადრიდული **AS**-ის ვარაუდით, „რეალის“ სატრანსფერო სამიზნენი გამხდარან*



**რობინიო**: ბრაზილიელი ვუნდერკინდის გადაბირება მადრიდელებს კარგა ხანია სურთ, თავად რობინიოც ყაბულსაა „რეალის“ მაისურა მოირგოს, მაგრამ მთავარი სიტყვა ფეხბურთელის მფლობელ კლუბ „სანტოსს“ ეკუთვნის. ყველა ელოდება ლიბერტადორესის თასის გათამაშების დასრულებას, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება მოლაპარაკება და თუ კლუბები თანხაზე შეთანხმდნენ, ვინძლო, რობინიომ ახალ სეზონში რონალდოს მხარდამხარ ითამაშოს.

**სტივენ ჯერარდი**: „ლივერპულის“ კაპიტნის რეალური მომავალი არარეალურად მოსჩანს. ზამთრის სატრანსფერო შუალედში ჯერარდს კი სურდა მშობლიური გუნდის დატოვება, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მოგების მერე „ლივერპულის“ დატოვება გადაიფიქრა. ერთიცაა, მის პოზიციაზე „რეალს“ ზიდანი, ფიგუ, გუტი და რაული ჰყავს.

**სერხიო რამოსი**: 19 წლის სევილიელი მცველის გადაბირებას ვინ აღარ ეშურება — „ბარსელონა“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მილანი“... ჰოდა, „სევილიას“ პრეზიდენტმა ხომე მარი დელ ნიდომ, ბიჭი თუ გინდათ, 27 მილიონი ევრო გაამზადეთო. „რეალი“ კი, ბოლო ცნობით, მხოლოდ 15 მილიონზეა ყაბულს. თავად სერხიო რამოსი მშობლიური გუნდიდან წასვლას არ აპირებს: „მე არავინ შემხმიანებია და რომც შემომთავაზონ „რეალში“ გადასვლა, უარს ვიტყვი. „სევილიაში“ გავიზარდე და ამ გუნდის მაისურით თამაში ჩემთვის დიდი ბედნიერებაა“ — წაიკეკლუცა ჭაბუკმა სერხიომ **AS**-თან ინტერვიუში.

**მიკაელ ესიენი**: „ლიონის“ განელი ნახევარმცველიც „რეალის“ სამიზნეა, თუმც მადრიდელებს მის ხელში ჩასაგდებად „ბარსელონასთან“ და „არსენალთან“ მოუწევს ბრძოლა.

**პაბლო გარსია**: „ოსასუნასა“ და ურუგვაის ნაკრების ნახევარმცველს მადრიდელები პირად კონტრაქტზე უკვე შეუთანხმდნენ, მაგრამ ჯერ კლუბის დასტური არ მიუღიათ. 11 ივნისს „ოსასუნა“ სამეფო თასის ფინალში „ბეტისს“ ხვდება. სავარაუდოდ, მადრიდელები და ნავარელები პაბლო გარსიას სატრანსფერო ფასზე სწორედ ამ მატჩის შემდეგ მოილაპარაკებენ.

**ლუიზაო**: „ბენფიკას“ ცენტრალური მცველის გადაბირება ჯერ კიდევ ხოსე ანტონიო კამაჩოს სურდა, მაგრამ ვალტერ სამუელისა და ჯონათან ვუდგეიტის შეძენის მერე ლუიზაო დაივიწყეს. ახლა კი ბრაზილიელის სახელი კვლავ წამოტივტივდა. საქმე ისაა, რომ სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ სამუელის იტალიაში დაბრუნებაზე და მთავარი, ლუიზაო თურმე ძალიან მოსწონს ვანდერლეი ლუშემბურგოს.

**ხოაკინი და ხოსე ანტონიო რეისი**: უკვე რა ხანია, ეს ორი ნიჭიერი ესპანელი „რეალს“ სათავისოდ შეუგულებია, მაგრამ ჯერჯერობით ვერც „ბეტისთან“ და ვერც „არსენალთან“ გამონახა საერთო ენა.

**მიხაელ ბალაკი**: „ბაიერნის“ შემტევ ნახევარმცველს რომ გუნდიდან წასვლა უნდა, ძველი ამბავია, „რეალიც“ რომ მისით დაინტერესებულია, არც ეს არის დიდი მოულოდნელობა. ბალაკის აგენტმა ამას წინათ მეტად დამაინტრიგებელი ფრაზა თქვა, ყველა ფეხბურთელი ოცნებობს „რეალში“ თამაშზეო. მადრიდელებიც ამ ფრაზას ჩაეჭიდნენ და „ბაიერნთან“ მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ.



ახლა კი, იმ ფეხბურთელებზე ვთქვათ, რომლებიც ესპანური პრესის ვარაუდით, ამ ზაფხულს „რეალს“ დატოვებენ: *ლუიშ ფიგუ, გუტი, მაიკლ ოუენი, ვალტერ სამუელი, ხავიერ პორტილიო, ალვარო მეხია და ბორხა.*



*მოკლედ, პრესა ბჭობს, ხოლო რა ხდება რეალურად, ანუ ვინ მოდის და ვინ მიდის, ამაში გასარკვევად **PUNTO RADIO** „სამეფო კლუბის“ საფეხბურთო დირექტორ არიგო საკის ესაუბრა*

**— საშუასეზონო პერიოდი დადგა. ალბათ თქვენთვის ეს დრო ყველაზე დატვირთული იქნება...**

— მთელი წლის მანძილზე თავდაუზოგავად უნდა იმუშავო, თუმც გეთანხმებით, ახლა მეტად საპასუხისმგებლო მომენტია, გუნდი უნდა გავაძლიეროთ.

**— ჯერ გუტიზე გკითხავთ. მას არ დაუმალავს, რომ „რეალიდან“ წასვლა უნდა.**

— ვფიქრობ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მან ცხელ გულზე მიიღო. ვურჩევ, მოიცადოს და მერე გააკეთოს არჩევანი. გუტის პატივს ვცემ, ის კარგი ფეხბურთელი და ძალიან კარგი ადამიანია. მისი პირდაპირობაც დასაფასებელია. იმას ვგულისხმობ, როცა ინტერვიუში ალალად თქვა, 29 წლის ვარ და ძირითადში თამაში მინდა, სათადარიგობას ვერ შევეგუებიო. მაგრამ გუტის ერთი რამ დაავიწყდა, მის პოზიციაზე მასზე უკეთესი ფეხბურთელები გვყავს: ფიგუ, ზიდანი, რაული.

**— ფიგუ რჩება გუნდში?**

— არ ვიცი. მას ჯერ კიდევ არ დასრულებია კონტრაქტი და იმედია, დარჩება. ფიგუ გუნდს სჭირდება, იმიტომ, რომ იგი სუპერპროფესიონალია. ვფიქრობ, რომ ფიგუს მომავალი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული და არა კლუბზე. რაც უნდა მოხდეს, ის „რეალსა“ და მის ქომაგებში ყოველთვის დაფასებული იქნება. ერთიცაა, ფიგუ ფლორენტინო პერესის პირველი ხმაურიანი შენაძენია. მე კი ამას შევადარებდი პირველ სიყვარულს, რომელიც არასოდეს გავიწყდება.

**— იკერ კასილიასთან კონტრაქტის გახანგრძლივების საქმე როგორ მიდის?**

— კასილიასის პროფესიონალიზმსა და ოსტატობაში ეჭვი არავის ეპარება, თუმც მას კიდევ შეუძლია მოუმატოს. იკერი ახალგაზრდაა და შეიძლება მასზე უარყოფითად იმოქმედოს საგაზეთო ეპითეტებმა. ყველაზე მოკრძალებული შეფასება, რაც მე კასილიასზე წამიკითხავს, იყო ფენომენი. ამის მიუხედავად, მე მჯერა მისი, დარწმუნებული ვარ, რომ არ გაყოყლოჩინდება. იკერმა იცის, რომ ბევრი უნდა იშრომოს. მაგალითად, გამოსვლაზე თამაში დახვეწოს. მის ახალ კონტრაქტზე კი ახალს ვერაფერს გეტყვით.

**— მოდით, რობინიოზე ვილაპარაკოთ. ამას წინათ მისმა აგენტმა თქვა, „ჩელსი“ და „არსენალი“ დაგვიკავშირდნენო. თუ ეს მართალია, ალბათ, ბრაზილიელის „რეალში“ გადმოყვანა გაჭირდება...**

— მიჭირს პასუხის გაცემა, რადგან ფეხბურთელების ყიდვა ჩემი საქმე არ არის. ამაზე პრეზიდენტს ჰკითხეთ, ფულს ის იხდის. მე კი გეტყვით, რომ ჯერ კიდევ „პარმაში“ მუშაობისას დავადგი თვალი რობინიოს. ის ახალგაზრდაა და ძალიან ნიჭიერი. „რეალს“ მისი შეძენა მეც ვურჩიე და ამ ტრანსფერზე ვმუშაობთ კიდეც.

**— კიდევ რომელი ფეხბურთელების შეძენა სურს სამეფო გუნდს?**

— პრეზიდენტი, ბუტრაგენიო და მე ტრანსფერებზე კარგა ხანია ვმუშაობთ. იმ ფეხბურთელების გადმობირებას ვეშურებით, რომლებზეც ლუშემბურგო გვეტყვის, ცხადია, ჩემს რჩევებსაც ითვალისწინებენ. ზუსტად ვერ გეტყვით, ამ ზაფხულს რამდენ ფეხბურთელს ვიყიდით, თუმც რევოლუციას რომ არ ვაპირებთ, ამას კი გაგიმხელთ.

**— სერხიო რამოსი შედის იმ ფეხბურთელთა ნუსხაში, თქვენ რომ დაგაინტერესათ?**

— ეგ ბიჭი საქმეში რამდენჯერმე ვნახე და ძალიან მომეწონა. მე ყოველ კვირაში ბევრ ფეხბურთელს ვაკვირდები, ბევრიც მომწონებია, მაგრამ საქმე ისაა, რამდენად გამოადგება ესა თუ ის მოთამაშე „რეალს“. ჩვენ ახლა ცენტრალური ნახევარმცველების ნაკლებობას განვიცდით. გვყავს მხოლოდ გრავესენი და ბექჰემი. დევიდი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა გამოდგა, ბრწყინვალე ადამიანი და ფენომენალური მოთამაშე გუნდისთვის.

**— ლუშემბურგომ განაცხადა, მომავალ სეზონში პრიმერადივიზიონის, სამეფო თასისა და ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად უნდა ვიბრძოლოთო...**

— თუ ოცნებაა, ოცნება იყოს. ცუდი ის იქნება, წვრილმანზე რომ წაიღცნებენ. ფეხლაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი გუნდი გვეყოლება.

**— რონალდო კონფედერაციის თასზე სათამაშოდ არ გაუშვით — ალბათ, კარგად დაისვენებს...**

— ჩვენ გვაქვს ერთი პრობლემა — „რეალ მადრიდი“ სერიოზული კლუბია, რომელიც თვითდაფინანსებაზეა „ჩელსის“, „იუვენტუსის“, „ინტერისა“ და „მილანისგან“ განსხვავებით. ამ კლუბებს ხომ მდიდარი ადამიანები ინახავენ. „რეალმა“ კი საკუთარ თავს თავად უნდა უპატრონოს. სამწუხაროდ კი რონალდო საჭიროა. ის რომ ნაკრებს გერმანიაში გაჰყოლოდა, მერე ჩვენ უნდა მიგვეცა დასვენების საშუალება, რადგან ამერიკასა და აზიაში ტურნეები გვაქვს დაგეგმილი. ამ ტურნეებში კი რონალდო გუნდთან ერთად აუცილებლად უნდა იყოს. ეს არის ერთადერთი მიზეზი, რომლის გამო ნაკრებში წასვლა გადავაფიქრებინეთ.

**სოსო ქოტორეიშვილი**



ლუიშ ფიგუშ შესაძლოა, „რეალს“ ხელი დაუქნიოს

# ინგლისი. პრემიერლიგა 2004-2005

## მიმოხილვა. ირაკლი გამყრელიძე




ცოტა ხნის წინ დასრულებულ პრემიერლიგაში, დაძაბული თამაშები მრავლად იყო



რობერ პირესის „არსენალი“
„მანჩესტერ იუნაიტედთან“ მარცხის შემდეგ აირია

# ნახევარი საუკუნე

**წლევანდელი** პრემიერლიგის მთავარი ამბავი ის იყო, რომ ნახევარი საუკუნის თავზე, ისტორიაში მეორედ „ჩელსი“ ჩემპიონი გახდა.

ამას ელოდნენ, თუმცა მაინც გაუჭირდათ.

კლუბში ჟოზე მაურინიუს მიყვანამ მართლაც მოახერხა ეს ამბავი — „ჩელსი“ მთელს წელიწადს წაუგებლად მიდიოდა წინ და ყველას და ყველაფერს უსწორდებოდა, მაურინიუ საკუთარ თავში დარწმუნებული კაცის იერით მართავდა გუნდს და ალბათ ასეც იყო. იმ რამდენიმე სკანდალს, რომლებშიაც მწვრთნელი და გუნდი გაეხვნენ სეზონის განმავლობაში, თამაშისთვის ხელი არ შეუშლია, მაურინიუს ენამ არა მხოლოდ პრემიერლიგელი მენეჯერები და ინგლისური მედია გაამწარა, არამედ, უეფას სანქციებიც კი გამოიწვია, რადგან პორტუგალიელი მწვრთნელი მიიჩნევდა, რომ მისი გუნდი მხოლოდ იმიტომ ვერ მოიგებს, რომ მეტოქე მსაჯებთანაა მოლაპარაკებული. ადრიას მუტუს გუნდიდან გაგდება „ჩელსის“ საერთოდ არ დატყობია.

გუნდმა ლიგის თასიც აიღო და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც გავიდა, როგორც ფავორიტი, თუმცა იქედან „ლივერპულმა“ გამოთიშა.

„ლივერპულმა“, რომელსაც ახალი მწვრთნელი, ესპანელი რაფა ბენიტესი მართავს, ჩემპიონატი უთანაბროდ განვლო, თუმცა ჩემპიონთა თასის მოგებით იმხელა წარმატებას მიაღწია, რომ ამას აღარავინ გაიხსენებს. ბენიტესმა კი მართლაც ახალი სული შთაბერა გუნდს, თუმცა ქალაქ ლივერპულში მოულოდნელი ამბავი მოხდა, ისეთი, 20 წელიწადს რომ არ მომხდარა. აქ „ლივერპულისგან“ ჩემპიონთა თასის აღება კი არ იგულისხმება, არამედ ის, რომ „ევერტონი“ „ლივერპულზე“ მაღლა აღმოჩნდა ცხრილში და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც მოიპოვა.

ევროპის ყველაზე ახოვანმა და საერთო წონით მძიმე გუნდმა, „ევერტონმა“ მთავარი მარაგი სეზონის პირველ ნახევარში შეიქმნა, როცა ცოტა გაჰქონდა, მაგრამ საერთოდ არ უშვებდა გოლებს.

წლეულს კვლავ გრძელდებოდა „მანჩესტერ“ — „არსენალის“ დაპირისპირება.

„მანჩესტერმა“ ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ „არსენალი“ ჩემპიონი ვერ გამხდარიყო, თუმცა ტიტულისთვის ბრძოლა ვერც თვითონ შეძლო — სწორედ „მანჩესტერმა“, დაძაბულ და დრამატულ მატჩში შეაჩერა „არსენალის“ სარეკორდო, 49-მატჩიანი წაუგებელი სერია, რის შემდეგაც არსენ ვენგერის გუნდი წელში ველარ გაიმართა. თავად „მანჩესტერმა“ კი თავდასხმაში ვერ ივარგა, მეკარე ვერ მოირგო და ამიტომაც დაისაჯა. ესეც არ იყოს, კლუბი მთელ წელიწადს იცვლიდა პატრონს და ბოლოს ამერიკელი მალკოლმ გლეიზერის ხელში გადავიდა.

სეზონის დასაწყისშივე „ნიუკასლიდან“ დაითხოვეს სერ რობი რობსონი, მისმა შემცვლელმა გრემ სუნესმა კი ფეხბურთელებთან კონფლიქტებით გაითქვა სახელი, კრეიგ ბელამი გუნდიდან გაუშვა და საბოლოოდ „ნიუკასლი“ ცხრილის შუაგულში აღმოჩნდა.

საუკეთესო მეგოლედ ტიერი ანრი შეიქნა 25 გოლით, სეზონის მიწურულის მთავარი სკანდალი კი კვლავ „ჩელსის“ დაუკავშირდა: ეშლი კოული სწორედ იქ გადაპარვას ლამობდა თავისი „არსენალის“ მალულად.

წლევანდელ პრემიერლიგაში ყოველი ადგილისთვის გაფრთებული ბრძოლა მიმდინარეობდა. უეფას თასზე მოხვედრის საკითხში ბედმა ასე გაუღიმა მარტინ იოლის ხელში მოყოჩაღებულ „ტოტენჰემს“, რომელმაც ფეირ პლეის წილისყრაც კი წააგო. გავარდნილთა ვინაობა კი საერთოდაც ბოლო ტურში გაირკვა, რითაც ერთი ინგლისური ტრადიცია დაირღვა: შობას, ბოლო ადგილზე მყოფი „ვესტ ბრომვიჩი“ ლიგაში დარჩა.




„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანების პროტესტის მიუხედავად, ამერიკელმა მილიარდელმა მალკოლმ გლეიზერმა გუნდი მაინც იყიდა

# ინგლისი. პრემიერლიგა 2004-2005

## ირაკლი გამყრელიძე. მიმოხილვა

# ლურჯ საჭესთან

**ამ სეზონის** პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულზე, ალბათ, ერთბაშად სამი უცხოელი განაცხადებდა პრეტენზიას: „ჩელსის" ჟოზე მაურინიუ, „ლივერპულის" რაფა ბენიტესი და „ტოტენჰემის" მარტინ იოლი.

თუმცა, ჩვენ მაინც ინგლისელი ავირჩიოთ და ეს წოდება ევერტონელი დევიდ მოიესისთვის გავიმეტოთ.

და, იცით რატომ?

იმიტომ, რომ ამ ქალალთმიანმა სქოთმა, „პრესტონის" ყოფილმა კაპიტანმა ისეთი გუნდის შექმნა შეძლო ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ან სულაც ჩამოწერილი ფეხბურთელებისგან, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.



დევიდ მოიესი

სეზონის დასაწყისში ღარიბმა „ევერტონმა" „მანჩესტერს" მიჰყიდა თავისი მთავარი კაპიტალი და იმედი უეინ რუნი, რაც სრულიად საკმარისი შეიქნა იმისთვის, რომ ექსპერტებს გავარდნის ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად გამოეცხადებინათ.

მერე კი დაიწყო სეზონი, რომელშიც „ევერტონმა" სასწაული მოახდინა.

სეზონის მიწურულს ერთი-ორი ჩავარდნის მიუხედავად ტიმ ჩეჰილის, ლი კარსლის, უბერებელი დანკან ფერგიუსონის დარმა ბიჭებმა ინგლისს აჩვენეს, რომ ფეხბურთის თამაში სულაც არ არის უცხოელ ვარსკვლავთა პრიორიტეტი და ის ავსტრალიელ, ინგლისელ და სქოთ ჯანიანებსაც კარგად გამოსდით, თუკი მწვრთნელიც ისეთივე სულის ბიჭია, როგორებიც ისინი არიან.



# ფრენკი ფრენკის ძე



„ჩელსის" ჩემპიონობაში ლომის წილი ფრენკ ლამპარდმა დაიდო

**თავად** პრემიერლიგის ფეხბურთელებმა წლის მოთამაშედ „ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი აღიარეს, რაც სამართლიანია, რადგან ამ მცველს ძალიან მაგარი სეზონი ჰქონდა და გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო.

მოდით, შორს არ წავიდეთ და ჩვენეული საუკეთესო „სტემფორდ ბრიჯზე" ვიპოვნოთ.

ჩვენი რჩეული ფრენკ ლამპარდია. და არა მარტო რჩეული. ამბობენ, რომ ის ევროპის „ოქროს ბურთისთვის" მებრძოლთა შორისაც პირველი იყო, თუმც „ლივერპულის" მიერ მოხდენილმა სასწაულმა გვერდით სტივენ ჯერარდი ამოუყენა.

სტივს ბევრი გაუცდა წლევანდელ პრემიერლიგაში და ამიტომ მას ფრენკს ვამჯობინებთ. თანაც ლამპარდს აქვს რაღაც ისეთი, რითაც სულ ოდნავ, მაგრამ მაინც მეტია ჯერარდზე. თვალები რომ დავხუჭოთ და „ჩელსის" სეზონი წარმოვიდგინოთ, სწორედ ფრენკის გოლები გაგვახსენდება. ამ იშვიათი ძალისა და უნარის ნახევარმცველმა თავისი საუკეთესო სეზონი სწორედ წელს ჩაატარა, რაშიც ჟოზე მაურინიუს უზარმაზარი დამსახურებაა.

ნეტავ თამაშზე სულ სხვა თვალით შემახედაო, ამბობს ლამპარდი, რომელიც დამსახურებას არც თავის მამას, ძველ „ვესტ ჰემელს", ფრენკი უფროსს უკარგავს: სწორედ ამ კაცმა ჩაახედა შვილი თამაშის არსში.

## ისინი ჩემპიონები არიან

## ჩელსი

მეკარეები

1 ---- პეტრ ჩეხი ---- 20.05.82
23 ---- კარლო კუდიჩინი ---- 06.09.73
40 ---- ლენი პიდგელი ---- 07.02.84

მცველები

2 ---- გლენ ჯონსონი ---- 23.08.84
6 ---- რიკარდუ კარვალიუ ---- 18.05.78
13 ---- უილიამ გალასი ---- 17.08.77
18 ---- უეინ ბრიჯი ---- 05.08.80
20 ---- პაულუ ფერეირა ---- 18.01.79
26 ---- ჯონ ტერი ---- 07.12.80
29 ---- რობერტ ჰუთი ---- 18.08.84
32 ---- სტივენ ვატი ---- 01.05.85
33 ---- ნუნუ მორაიში ---- 29.01.84

ნახევარმცველები

4 ---- კლოდ მაკელელე ---- 18.02.73
5 ---- ალექსეი სმერტინი ---- 01.05.75
8 ---- ფრენკ ლამპარდი ---- 20.06.78
10 ---- ჯო კოული ---- 08.11.81
11 ---- დემიენ დაფი ---- 02.03.79
14 ---- ჯერემი ნჯიტაპი ---- 20.12.78
16 ---- არიენ რობენი ---- 23.01.84
19 ---- სკოტ პარკერი ---- 13.10.80
27 ---- ირჟი იაროშიკი ---- 27.10.77
30 ---- ტიაგუ მენდეში ---- 02.05.81
42 ---- ენტონი გრანტი ---- 06.04.87

თავდამსხმელები

9 ---- მატეა კეჟმანი ---- 12.04.79
15 ---- დიდიე დროგბა ---- 11.03.78
22 ---- ეიდურ გუდიონსენი ---- 15.09.78
24 ---- მიკაელ ფორსელი ---- 15.03.81
31 ---- ფილიპე ოლივეირა ---- 27.05.84

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

| საბოლოო ცხრილი | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 **ჩელსი** | 38 | 29 | 8 | 1 | 72:15 | 57 | 95 | 19 | 14 | 5 | 0 | 35:6 | 29 | 47 | 19 | 15 | 3 | 1 | 37:9 | 28 | 48 |
| 2 არსენალი | 38 | 25 | 8 | 5 | 87:36 | 51 | 83 | 19 | 13 | 5 | 1 | 54:19 | 35 | 44 | 19 | 12 | 3 | 4 | 33:17 | 16 | 39 |
| 3 მანჩესტერი | 38 | 22 | 11 | 5 | 58:26 | 32 | 77 | 19 | 12 | 6 | 1 | 31:12 | 19 | 42 | 19 | 10 | 5 | 4 | 27:14 | 13 | 35 |
| 4 ევერტონი | 38 | 18 | 7 | 13 | 45:46 | -1 | 61 | 19 | 12 | 2 | 5 | 24:15 | 9 | 38 | 19 | 6 | 5 | 8 | 21:31 | -10 | 23 |
| 5 ლივერპული | 38 | 17 | 7 | 14 | 52:41 | 11 | 58 | 19 | 12 | 4 | 3 | 31:15 | 16 | 40 | 19 | 5 | 3 | 11 | 21:26 | -5 | 18 |
| 6 ბოლტონი | 38 | 16 | 10 | 12 | 49:44 | 5 | 58 | 19 | 9 | 5 | 5 | 25:18 | 7 | 32 | 19 | 7 | 5 | 7 | 24:26 | -2 | 26 |
| 7 მიდლსბრო | 38 | 14 | 13 | 11 | 53:46 | 7 | 55 | 19 | 9 | 6 | 4 | 29:19 | 10 | 33 | 19 | 5 | 7 | 7 | 24:27 | -3 | 22 |
| 8 სიტი | 38 | 13 | 13 | 12 | 47:39 | 8 | 52 | 19 | 8 | 6 | 5 | 24:14 | 10 | 30 | 19 | 5 | 7 | 7 | 23:25 | -2 | 22 |
| 9 ტოტენჰემი | 38 | 14 | 10 | 14 | 47:41 | 6 | 52 | 19 | 9 | 5 | 5 | 36:22 | 14 | 32 | 19 | 5 | 5 | 9 | 11:19 | -8 | 20 |
| 10 ასტონ ვილა | 38 | 12 | 11 | 15 | 45:52 | -7 | 47 | 19 | 8 | 6 | 5 | 26:17 | 9 | 30 | 19 | 4 | 5 | 10 | 19:35 | -16 | 17 |
| 11 ჩარლტონი | 38 | 12 | 10 | 16 | 42:58 | -16 | 46 | 19 | 8 | 4 | 7 | 29:29 | 0 | 28 | 19 | 4 | 6 | 9 | 13:29 | -16 | 18 |
| 12 ბირმინგემი | 38 | 11 | 12 | 15 | 40:46 | -6 | 45 | 19 | 8 | 6 | 5 | 24:15 | 9 | 30 | 19 | 3 | 6 | 10 | 16:31 | -15 | 15 |
| 13 ფულემი | 38 | 12 | 8 | 18 | 52:60 | -8 | 44 | 19 | 8 | 4 | 7 | 29:26 | 3 | 28 | 19 | 4 | 4 | 11 | 23:34 | -11 | 16 |
| 14 ნიუკასლი | 38 | 10 | 14 | 14 | 47:57 | -10 | 44 | 19 | 7 | 7 | 5 | 25:25 | 0 | 28 | 19 | 3 | 7 | 9 | 22:32 | -10 | 16 |
| 15 ბლექბერნი | 38 | 9 | 15 | 14 | 32:43 | -11 | 42 | 19 | 5 | 8 | 6 | 21:22 | -1 | 23 | 19 | 4 | 7 | 8 | 11:21 | -10 | 19 |
| 16 პორტსმუთი | 38 | 10 | 9 | 19 | 43:59 | -16 | 39 | 19 | 8 | 4 | 7 | 30:26 | 4 | 28 | 19 | 2 | 5 | 12 | 13:33 | -20 | 11 |
| 17 ვესტ ბრომვიჩი | 38 | 6 | 16 | 16 | 36:61 | -25 | 34 | 19 | 5 | 8 | 6 | 17:24 | -7 | 23 | 19 | 1 | 8 | 10 | 19:37 | -18 | 11 |
| 18 კრ. პალასი | 38 | 7 | 12 | 19 | 41:62 | -21 | 33 | 19 | 6 | 5 | 8 | 21:19 | 2 | 23 | 19 | 1 | 7 | 11 | 20:43 | -23 | 10 |
| 19 ნორვიჩი | 38 | 7 | 12 | 19 | 42:77 | -35 | 33 | 19 | 7 | 5 | 7 | 29:32 | -3 | 26 | 19 | 0 | 7 | 12 | 13:45 | -32 | 7 |
| 20 საუთჰემპტონი | 38 | 6 | 14 | 18 | 45:66 | -21 | 32 | 19 | 5 | 9 | 5 | 30:30 | 0 | 24 | 19 | 1 | 5 | 13 | 15:36 | -21 | 8 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| **ანრი (არსენალი)** | 25 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 21 |
| პირესი (არსენალი) | 14 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 13 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 13 |
| ლამპარდი (ჩელსი) | 13 |
| აიეგბენი (პორტსმუთი) | 13 |
| ენდი კოული (ფულემი) | 12 |
| კრუჩი (საუთჰემპტონი) | 12 |
| გუდიონსენი (ჩელსი) | 12 |
| ჩეჰილი (ევერტონი) | 11 |
| ერნშოუ (ვესტ ბრომვიჩი) | 11 |
| რობი კინი (ტოტენჰემი) | 11 |
| რუნი (მანჩესტერი) | 11 |

**გავარდნენ**

კრისტალ პალასი
ნორვიჩი
საუთჰემპტონი

**ამაღლდნენ**

სანდერლენდი
უიგანი
ვესტ ჰემი

**ჩემპიონთა ლიგა 2005-2006**

ჩელსი, არსენალი
მანჩესტერი, ევერტონი

**უეფას თასი 2005-2006**

ლივერპული, ბოლტონი
მიდლსბრო

**ინტერტოტოს თასი 2005**

ნიუკასლი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### პოლონეთი

**9 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 31 | კრაკოვია-პოგონი | 1.55 | 3.6 | 4.7 | 1.08 | 1.16 | 2.03 |
| 21:00 | 32 | გურნიკი-პოლონია | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 21:00 | 33 | გროცლინი-ლეჩნა | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 21:00 | 34 | ლეხი-ვისლა | 3.15 | 3.1 | 2.05 | 1.56 | 1.24 | 1.23 |
| 21:00 | 35 | ლეგია-კატოვიცე | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| 21:00 | 36 | ოდრა-პლოცკი | 2.15 | 3.2 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.5 |
| 21:00 | 37 | ზაგლებე-ამიკა | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |

### ნორვეგია. ტიპელიგა

**12 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 64 | ფრედრიკსტადი-ბოდო გლიმტი | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 65 | ლილესტრიომი-ალესუნდი | 1.5 | 4.0 | 5.8 | 1.09 | 1.19 | 2.36 |
| 20:00 | 66 | ოდ გრენლანდი-მოლდე | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 20:00 | 67 | როზენბორგი-ჰამარი | 1.35 | 5.0 | 6.5 | 1,06 | 1.11 | 2.82 |
| 20:00 | 68 | სტარტი-ტრომსიო | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| 22:15 | 69 | ლინი-ვოლერენგა | 2.7 | 3.2 | 2.45 | 1.46 | 1.28 | 1.38 |

**13 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 70 | ვიკინგი-ბრანი | 2.5 | 3.3 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |

### შვედეთი. სუპერეტა

**9 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 92 | აიკ-ატვიდაბერგი | 1.6 | 3.7 | 4.9 | 1.11 | 1.2 | 2.1 |

### მჩ. შესარჩევი მატჩები

**7 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 156 | პერუ-ურუგვაი | 2.25 | 3.1 | 3.0 | 1.3 | 1.28 | 1.52 |

**8 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:35 | 149 | კორეა-იაპონია | 5.5 | 3.7 | 1.5 | 2.21 | 1.17 | 1.06 |
| 18:35 | 150 | ირანი-ბაჰრეინი | 1.4 | 3.8 | 6.7 | 1.02 | 1.15 | 2.42 |
| 21:45 | 151 | კუვეიტი-სამხრეთ კორეა | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 22:05 | 152 | ს.არაბეთი-უზბეკეთი | 1.4 | 3.9 | 6.7 | 1.03 | 1.15 | 2.46 |
| 23:45 | 153 | მექსიკა-ტრინიდადი | 1.12 | 6.5 | 14.0 | 1.0 | 1.03 | 4.43 |
| 23:45 | 154 | პანამა-აშშ | 4.7 | 3.6 | 1.55 | 2.03 | 1.16 | 1.08 |
| 23:45 | 155 | კოსტა რიკა-გვატემალა | 1.65 | 3.4 | 4.6 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| 23:45 | 157 | კოლუმბია-ეკვადორი | 1.8 | 3.2 | 4.3 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 23:45 | 158 | პარაგვაი-ბოლივია | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 23:45 | 159 | ჩილე-ვენესუელა | 1.45 | 3.7 | 6.7 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| 23:45 | 160 | არგენტინა-ბრაზილია | 2.15 | 3.1 | 3.1 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 161 | ყაზახეთი-თურქეთი | 15.0 | 6.0 | 1.12 | 4.28 | 1.04 | 1.0 |
| 19:00 | 162 | ჩეხეთი-მაკედონია | 1.08 | 7.0 | 20.0 | 1.0 | 1.02 | 5.18 |
| 19:30 | 163 | ლატვია-ლიხტენშტაინი | 1.1 | 6.5 | 21.0 | 1.0 | 1.04 | 4.96 |
| 22:00 | 164 | ბელარუსი-შოტლანდია | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 21:15 | 165 | ესტონეთი-პორტუგალია | 7.0 | 3.7 | 1.45 | 2.42 | 1.2 | 1.04 |
| 21:30 | 166 | რუმინეთი-სომხეთი | 1.12 | 6.5 | 16.0 | 1.0 | 1.04 | 4.62 |
| 22:00 | 167 | ფინეთი-პოლანდია | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 22:00 | 168 | ლუქსემბურგი-სლოვაკეთი | 18.0 | 7.5 | 1.07 | 5.29 | 1.0 | 1.0 |
| 22:00 | 169 | დანია-ალბანეთი | 1.2 | 5.0 | 13.0 | 1.0 | 1.09 | 3.61 |
| 22:05 | 170 | ისლანდია-მალტა | 1.15 | 6.0 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.1 |
| 22:30 | 171 | საბერძნეთი-უკრაინა | 2.0 | 3.1 | 3.5 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 22:30 | 172 | ფარერები-ირლანდია | 20.0 | 7.0 | 1.08 | 5.18 | 1.02 | 1.0 |
| 23:45 | 173 | ესპანეთი-ბოსნია | 1.15 | 6.5 | 13.0 | 1.0 | 1.05 | 4.33 |

### ამხანაგური მატჩები

**7 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:05 | 177 | შვედეთი(21)-ნორვეგია(21) | 1.85 | 3.2 | 3.7 | 1.17 | 1.23 | 1.71 |

**8 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 178 | შვედეთი-ნორვეგია | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 22:45 | 179 | გერმანია-რუსეთი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 23:45 | 180 | იტალია-სერბია | 1.85 | 3.0 | 3.9 | 1.14 | 1.25 | 1.69 |

### ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)

**7 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 181 | ყაზახეთი (21)-თურქეთი(21) | 14.0 | 6.5 | 1.1 | 4.43 | 1.01 | 1.0 |
| 19:30 | 182 | ფინეთი(21)-პოლანდია(21) | 6.0 | 3.8 | 1.45 | 2.32 | 1.16 | 1.04 |
| 20:00 | 183 | საბერძნეთი(21)-უკრაინა(21) | 1.65 | 3.4 | 4.0 | 1.11 | 1.16 | 1.83 |
| 20:00 | 184 | ბელარუსი(21)-შოტლანდია(21) | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 21:00 | 185 | დანია(21)-ალბანეთი(21) | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| 21:15 | 186 | ესტონეთი(21)-პორტუგალია(21) | 10.0 | 5.5 | 1.2 | 3.54 | 1.07 | 1.0 |
| 21:30 | 187 | ლუქსემბურგი(21)-სლოვაკეთი(21) | 12.0 | 5.5 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.0 |
| 22:00 | 188 | ისლანდია(21)-მალტა(21) | 1.25 | 4.8 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.13 |
| 22:00 | 189 | ესპანეთი(21)-ბოსნია(21) | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| 19:00 | 191 | ჩეხეთი(21)-მაკედონია(21) | 1.12 | 6.5 | 12.0 | 1.0 | 1.02 | 4.21 |

**8 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 190 | რუმინეთი(21)-სომხეთი(21) | 1.1 | 6.5 | 14.0 | 1.0 | 1.01 | 4.43 |

### ესპანეთი. თასი

**11 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 193 | ბეტისი-ოსასუნა | 2.15 | 3.1 | 3.2 | 1.26 | 1.28 | 1.57 |

### შვედეთი. თასი

**7 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 195 | იორგრიტე-ასირისკა | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |

### კალათბურთი. ესპანეთი

**7 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 255 | უნიკახა-ტაუ | 1.65 | 12.0 | 2.0 | 1.45 | 1.0 | 1.71 |

**8 ივნისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 256 | ესტუდიანტესი-რეალი | 1.7 | 12.0 | 2.0 | 1.48 | 1.0 | 1.71 |

### ჩოგბურთი. კაცები. გალე. ბალახი.

**7 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 12:30 | 257 | იოჰანსონი ი-კოლშრაიბერი | 1.12 | 4.2 |
| 12:30 | 259 | ნალბანდიანი-შუტლერი | 1.35 | 2.8 |
| 12:30 | 260 | პაველი-სანტორო | 1.65 | 1.95 |
| 12:30 | 261 | ფედერერი-სოდერლინგი | 1.06 | 5.6 |

### ჩოგბურთი. ქალები.ბირმინგემი. ბალახი.

**7 ივნისი**

| | | | 1 | 2 |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 262 | კირილენკო-ფედაკი | 1.3 | 3.0 |
| 14:00 | 263 | ტანასუგარნი-ვინჩი | 1.5 | 2.3 |
| 14:00 | 264 | გრენვილი-კეტავონგი | 1.3 | 3.0 |
| 14:00 | 265 | რაიმონდი-სეკუერა | 1.35 | 2.9 |
| 14:00 | 266 | ბრანდი-ჯეკსონი | 1.3 | 3.1 |
| 14:00 | 267 | დანილიდუ-ჩო | 1.75 | 1.85 |
| 14:00 | 268 | ვენტო-ობატა | 1.55 | 2.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 269 | პრატი-კასტანო | | 1.35 | | | | 2.9 |
| 14:00 | 270 | ტუ-ვაინგარტნერი | | 1.6 | | | | 2.0 |
| 14:00 | 271 | ფუჯივარა-ჟიდკოვა | | 1.6 | | | | 2.05 |
| 14:00 | 272 | ჩერვანოვა-გრანდინი | | 1.65 | | | | 2.05 |
| 14:00 | 273 | შონესი-დომინიკოვიჩი | | 1.5 | | | | 2.3 |

ჩოგბურთი. კაცები. ლონდონი. ბალახი.
7 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 247 | დენტი-ბერენდი | | 1.15 | | | | 4.0 |
| 13:00 | 248 | ზიბი-ხენნელი | | 1.55 | | | | 2.15 |
| 13:00 | 249 | კლემანი-პერნიხი | | 1.45 | | | | 2.3 |
| 13:00 | 250 | მატი-ბაგდატისი | | 1.75 | | | | 1.9 |
| 13:00 | 251 | მირნი-ბერდიხი | | 1.3 | | | | 2.9 |
| 13:00 | 252 | მონფილსი-დელგადო | | 1.45 | | | | 2.4 |
| 13:00 | 253 | მიულერი-ბენეტო | | 1.8 | | | | 1.8 |
| 13:00 | 254 | ბლეიკი-პუერტა | | 1.3 | | | | 3.0 |

კრივი
11 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 219 | ტაისონი მ-მაკბრაიდი კ | | 1.07 | | 26.0 | | 6.5 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



მიხეილ კობეშავიძე, ფედერაციის პრეს ატაშე ზურაბ თალაკვაძე და ნუგზარ კანდელაკი

# საზღვარგარეთი მარათონი დილომში დაიწყო

## კანდელაკმა გეგმა და რკინის ხელი გამოაჩინა

**დღეს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ახალი დამრიგებლის ხელმძღვანელობით ოფიციალურად შეიკრიბა. ნუგზარ კანდელაკმა ოცწლამდელები რეალურად ორ ივნისს შეკრიბა და ვერის ბაღში ავარჯიშებდა, თუმცა ფედერაციის მიერ შეკრების დღედ გამოცხადებული თარიღი 6 ივნისი გახლდათ და ამ მოვლენას სპეციალური პრესკონფერენციაც მიეძღვნა კაფე „მსოფლიო სპორტში".

შეგახსენებთ, რომ ჩვენს ახალგაზრდებს 8-დან 20 ივლისამდე ევროჩემპიონატის B დივიზიონში, ანუ საკვალიფიკაციო ტურნირში უწევთ თამაში, რომელიც ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში გაიმართება. ისინი ამ ტურნირიდან პირდაპირ მედლებისთვის ვერ იბრძოლებენ, ჯერ A დივიზიონში თამაშის უფლება უნდა მოიპოვონ, შემდეგ კი, მომავალ ზაფხულს, საპრიზო ადგილებისკენ გზა ხსნილია.

ამისთვის ჩვენმა ახალგაზრდებმა ბულგარეთში შეკრებილ 16 გუნდში მინიმუმ მე-2 ადგილი უნდა დაიკავონ. ეს 1985 წლებში დაბადებულთა ტურნირია, თუმცა ჩვენს ნაკრებში უმეტესობას 86-იანები შეადგენენ და თუ ქართველები ბულგარეთში საუკეთესო ორეულში მოხვდებიან, გაისად მხოლოდ 86-წლიანებს შეეძლებათ A დივიზიონში თამაში.

ბულგარული ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მეტოქეები იქნებიან: ისლანდიის, ფინეთის, ირლანდიის, სლოვაკეთისა და პოლონეთის 20-წლამდელები. ქართველებს მოსამზადებლად საკმარისი დრო აქვთ და თუ რას აპირებენ ამ ხნის განმავლობაში, ნაკრების მწვრთნელებმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე დაწვრილებით ისაუბრეს...

***ნუგზარ კანდელაკი, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:***

„დღეს გადავედით სრულ შეკრებაზე, აქამდე კი ოთხი დღის განმავლობაში ვერის ბაღში ლეგიონერებს ვიბარებდი და მსუბუქად ვავარჯიშებდი. ამას იმ მიზნით ვაკეთებდი, რომ გამეგო, თუ როგორ ფორმაში არიან ლეგიონერები. აქაურებზე ასე თუ ისე მქონდა წარმოდგენა. ჩვენთან ერთად ვარჯიშობდა ზაზა ფაჩულია, რომელიც 1984-იანია და ერთი წლით უმცროსი რომ იყოს, ჩვენს ნაკრებში თამაშის უფლება ექნებოდა. ვხუმრობდით კიდეც, ზაზას ვეუბნებოდით, ერთი წლით უმცროსი რომ იყო, ევროპის ჩემპიონები გავხდებოდითო...

-ფედერაციამ დანაპირები შეასრულა და იდეალური მოსამზადებელი პირობები შეგვიქმნა. „დინამოს" ბაზაზე ყველაფერია, რათა მონდომებული კალათბურთელი დაიხვეწოს. გვაქვს სამჯერადი კვება, საუნა, სატრენაჟორო ოთახი, აუზი და... ერთი სიტყვით, ყველაფერი. თანაც პირველად ხდება, რომ საქართველოს ნებისმიერი ასაკობრივი ნაკრები კონკრეტული ტურნირისთვის ასე ადრიანად იკრიბება. თვეზე მეტი გვაქვს წინ და ამ ხნის განმავლობაში არაერთ საკონტროლო მატჩსაც გავმართავთ...

...დღეს ვარჯიშზე 20 მოთამაშე იყო, დანარჩენ სამს კი საპატიო მიზეზი აქვს: მანუჩარ მარკოიშვილი, რევაზ ათანელაშვილი და გიორგი ჩავლეიშვილი თბილისში არ იმყოფებიან. მარკოიშვილი, მოგეხსენებათ, სლოვენიის ჩემპიონატშია დაკავებული. მისი „ოლიმპია" ფინალში გავიდა და თუ სერია ხუთ მატჩამდე გაიწელა, ის თბილისში 16 ივნისამდე ვერ ჩამოვა. ათანელაშვილიც სლოვენიაშია, ოღონდ ახალგაზრდულ გუნდში და მასაც პლეი ოფში უწევს თამაში. თუმცა იგი დღე-დღეზე ჩამოვა თბილისში და ასევე ჩავლეიშვილიც. ერთი დანაკლისის შესახებ კი აქამდეც გამცნეთ: გიორგი მარხვაშვილს საბუთები არ ჰქონია წესრიგში და გაფართოებულ განაცხადშიც ვერ მოხვდა...

...დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვექნება 17 ივნისამდე, მერე კი კიევში გავემგზავრებით და ორ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ უკრაინელ თანატოლებთან. ეს თამაშები 18-19 ივნისს იგეგმება და შესაძლებელია, ადგილზე გადაწყდეს მესამე სპარინგ-მატჩის გამართვაც. უკრაინიდან დაბრუნებულები ორი დღე შევისვენებთ და კვლავ „დინამოს" ბაზაზე გავაგრძელებთ შეკრებას...

...კიევში, ცხადია, 23 კაცით ვერ წავალთ. უკრაინასთან სათამაშოდ მანამდე დაგეგმილი 12-ის ნაცვლად 14 კალათბურთელის წაყვანის უფლება გვაქვს, რისთვისაც მადლობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას. მინდა, განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება ერთ საკითხზე: ვინც საუკრაინო თოთხმეტეულში ვერ მოხვდება, იმას არ ნიშნავს, რომ ძირითად, საზღვარგარეთი შემადგენლობაში მოხვედრის შანსს ჰკარგავს. თუ მოინდომებენ, ყველას ყველაფრის შანსი აქვს და თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ნაკრებს, თუ A დივიზიონში აღზევდა, გაისად 1985 წელში დაბადებულები ველარ დაეხმარებიან. ანუ მათ, ვინც წლეულს ვერ შევა ძირითადში, მომავალ ციკლში ნაკრებში მოხვედრის შანსები უორმაგდებათ...

...საკუთრივ კონკურენცია კი საკმარისზე მეტია. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელები არცთუ ურიგო ფორმაში არიან და რა იქნება ერთ თვეში, ვინ მოხვდება ძირითადში და ვინ ვერა, არავინ იცის. მე დღეს ველაპარაკე ნაკრების ყველა კანდიდატს და ერთი, ასე ვთქვათ, ულტიმატუმი წავუყენე. ბიჭებს ვუთხარი, რომ თუ ჩემი ვარჯიშის სტილითა და დისციპლინით არ არიან კმაყოფილნი, „დინამოს" ბაზა შეუძლიათ დაუყოვნებლივ დატოვონ. უპირველეს ყოვლისა, სათამაშო დისციპლინას მოვითხოვ, რაც იმაში გამოიხატება, რომ კალათბურთელმა მოედანზე ის უნდა გააკეთოს, რასაც მწვრთნელები ეუბნებიან. ჩვენში ხშირია შემთხვევა, როცა შეტევაში მოთამაშეს პასს არ აძლევენ ან დაცვაში პროტესტის ნიშნად არ ჩადიან და სხვა მისთანები. ასეთი საქციელი ჩემთვის მიუღებელია, თუ დისციპლინა არ განვამტკიცეთ, მუშაობას აზრი არა აქვს...

...მიმდინარეობს მოლაპარაკება ორი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციასთან, რომ ბულგარეთში გამგზავრებამდე დამატებით ჩავატაროთ საკონტროლო მატჩები. ქვეყნებს ვერ დავასახელებ, რადგან შეთანხმება რომ არ შედგეს, ფუჭი ლაპარაკი გამოვა. ჩვენ მათ ვთავაზობთ თბილისში ჩამოსვლას. ყველა აქაური ხარჯების დაფარვას — კვებას, სასტუმროში ცხოვრებას და ასე შემდეგ — საქართველოს ფედერაცია და მისი სპონსორები იღებენ თავიანთ თავზე".

***მიხეილ კობეშავიძე — მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:***

„ნუგზარ კანდელაკის დავალებით მე ნაკრების საქართველოში მოთამაშე კანდიდატებს ვაკვირდებოდი და მინდა განვაცხადო, რომ ისინი სერიოზულ დონეზე არიან მომზადებულნი. კონკურენცია საკმაოდ დიდია, რაც კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბების იმედს იძლევა".

როგორც ჩანს, ახალგაზრდულ ნაკრებში კანდელაკის მისვლით ახალი ერა დაიწყო. არსებობს ყველა პირობა საიმისოდ, რომ ამ გუნდმა წარმატებას მიაღწიოს. ფედერაციამ იდეალური პირობები შეუქმნა ახალგაზრდებს, მწვრთნელმა დისციპლინა მოიტანა და ჯანსაღი კონკურენციაც სუფევს. ნაკრების ვარჯიშები, ასე ვთქვათ, დახურულ ხასიათს ატარებს, ხუთშაბათს კი ნუგზარ კანდელაკი ღია ვარჯიშს მოაწყობს, რომელსაც ჟურნალისტებთან ერთად ბლომად გულშემატკივრებიც დაესწრებიან. ამაზეა ნათქვამი, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო. მიდით, ბაჭებო...

**ირაკლი პერტაია**

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები**

**უკანახაზელები:** ბესიკ ლეჟავა, ტატო ვაშაკიძე, ლაშა გამყრელიძე, ლაშა ფარლალავა, ირაკლი სორდია, გიორგი ცინცაძე, გიორგი მამაცაშვილი

**ფორვარდები:** გიორგი მდივანი, მამუკა ბოლქვაძე, გიორგი ჩავლეიშვილი, ნიკა ჩხატარაშვილი, დავით საყვარელიძე, ლექსო ლაფანაშვილი, ვიქტორ სანიკიძე, რევაზ დიდია, მიხეილ ბერიშვილი

**ცენტრები:** სერგო ათუაშვილი, დავით იმნაძე, დავით ერქვანია



# პოლა დაეცემა

## რატომ უნდა სცემოს რედკლიფმა თავისი თავი?



**ინგლისელი** ვარსკვლავი პოლა რედკლიფი ამერიკის ქალაქ ეუჯინში გამართულ „გრან პრი კლასიკში" მონაწილეობდა და მისდა სამწუხაროდ, 1500 მეტრიან დისტანციაზე ფინიშთან მხოლოდ მეექვსე მივიდა.

„გაღიზიანებული გახლავართ, — განაცხადა რედკლიფმა, — მეორე წრეზე ყველანი ერთმანეთს შევასკდით და ამან გეგმები არია, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მორბენლები სირბილის ნაცვლად ერთმანეთს უყურებდნენ.

მოგეხსენებათ, პოლა რედკლიფი მარათონის დიდოსტატია და შარშან, ათენის ოლიმპიადაზე 10 000 მეტრზე ფინალური გარბენის გამოტოვების შემდეგ სხვა შეჯიბრებაში აღარც მონაწილეობდა. ამჯერად, მისი შედეგი ზემოხსენებულ გარბენში გახლდათ 4.13,13

„პირველი წრის შემდეგ ყველაფერი კარგად მიდიოდა, — ვერ ცხრება პოლა, — ვიფიქრე, ცუდმა პერიოდმა გაიარა, მონატრებულ საქმეს ვაკეთებ და ყველაფერი ჩინებულად მიდის მეთქი, მაგრამ გავიხედე და მეორე წრეზე თავი დაბლა გაშხლართული აღმოვაჩინე."

შემდეგ რედკლიფმა თქვა, რომ დაუყოვნებლივ წამოხტა და დაწინაურებულთა დასაწევად გავარდა. აღსანიშნავია, რომ მას პატარ-პატარა ნაფხაჭნები ჰქონდა როგორც ხელებზე ასევე ფეხებზე.

„სარბენ ბილიკზე შიდა მხარეს ვიყავი და მეოთხეზე გასვლას ვაპირებდი, ოღონდ საამისოდ წრის შემოვლას ველოდი და ნეტავ ეს არ გამეკეთებინა, რადგან წამში ზედახორასა და ხელჩართულ ბრძოლაში ამოვყავი თავი."

ზედახორაში თავი აგრეთვე ამოჰყო რუსმა ფავორიტმა ტატიანა ტომაშოვამ, რომელმაც გარბენი საერთოდ ვერ დაასრულა.

საბოლოოდ ეს მრავალტანჯული და ამ მრავალტანჯულობით საინტერესო გარბენი საკმაოდ ცუდ დროში მოიგო ამერიკელმა კრისტინ ვურთმა (4.09,45), მეორეზე გავიდა მისი თანამემამულე ტრეიერ კლემენტი, რომელიც წამის მეასედით ჩამორჩა, ხოლო მესამე გახლდათ ეთიოპიელი მესტავატ ტადესე — 4.09,83

„არადა, კარგ ფორმაში ვიყავი და პირადი შედეგის გაუმჯობესება მქონდა გეგმაში. რამდენი ხანია 1500 მეტრზე არ მირბენია ამ დღეს ასე ველოდი, მაგრამ მიწაზე აღმოვჩნდი გაწოლილი. ლამისაა საკუთარი თავი ვცემო" — დაგვირგვინა ბრიტანელმა.

**ტუტა სიხარულიძე**







# ფრენბურთელთა პირველი
## მიქაძის გოგოებმა მოლდოვას გადაუფრინეს

6 ივნისი. თბილისი

**საქართველო 3:0 (25:21, 25:22, 25:18) მოლდოვა**

**საქართველო:** მეტრეველი, აირაპეტიანი, დავითულიანი, არველაძე, გერლიანი (კაპ), ცარენკო, ბუდაგოვა, ვაშაკიძე, ლვინჯილია, საათაშვილი, ძიძიგაძე, ხუდოევა
**მწვრთნელი:** ნუგზარ მიქაძე
**მოლდოვა:** ჩუბუკი, სლემეტი, კოვალოვა, დაკონიცა, კოვალჩუკი, ლულენოვა, დუდნიკი
**მწვრთნელი:** მიხეილ კოპალოვი
**მსაჯი:** ოლეგ ლუკინი (რუსეთი)

როგორც იქნა, ამასაც მოვესწარით. საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველი მატჩი მოიგო. ეს გამარჯვება გოგონებს ისე უხაროდათ, იფიქრებდით, ევროპაზე მოვხვდითო.

არც არის გასაკვირი. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ისტორიულ, პირველ გამარჯვებას მიაღწია, თანაც გუნდთან, რომელმაც პირველ თამაშში 3:0 მოგვიგო.

გუშინ სპორტის სასახლის სარბიელზე გამოსული მოლდოველები, რა თქმა უნდა, კვლავ მოსაგებად იყვნენ განწყობილნი, თუმცა ერთის მხრივ მაყურებელთა მხარდაჭერამ, უმეტესწილად კი ჩვენი ფრენბურთელების კარგმა თამაშმა გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო განაცხადში გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ირინე ნახიანი ვერ მოხვდა. ამავე მიზეზით ნათია არველაძესაც არ უთამაშია, თუმცა სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა.

პირველი სეტი თავიდანვე ჩვენი უპირატესობით წარიმართა, თუმცა ეს უფრო მის შუაწელში გამოიკვეთა, როდესაც საქართველოს ნაკრები 19:13 დაწინაურდა. ამის შემდეგ მოლდოველებმა სხვაობის შემცირება შეძლეს, თუმცა ჩვენებურთ მაინც არ გასჭირვებიათ საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა.

მეორე სეტი სრულიად განსხვავებული გამოდგა. პირველ ნახევარში აბსოლუტურად თანაბარი თამაში მიდიოდა და მეტოქეებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს. დასასრულისკენ მოლდოველები 20:17 დაწინაურდნენ და ნაკრების თავკაცმა ნუგზარ მიქაძემ დროულად აიღო წუთშესვენება. ქართველებმა ზედიზედ 6 ქულა მოინაგრეს და 23:20 გაიჭრნენ წინ. შემდეგ მოლდოველებმაც გაახერხეს ერთი-ორი კარგი შეტევა, თუმც ამ სეტშიც ჩვენ ვიმარჯვეთ.

მესამე სეტი მხოლოდ თავიდან წარიმართა თანაბარ ბრძოლაში, შემდეგ კი მეტოქე მორალურადაც გატყდა და ფიზიკურადაც, ზედიზედ რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ჩვენებსაც გამარჯვება აღარ გასჭირვებიათ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მარია ცარენკოსა და ზემფირა ბუდაგოვას თამაშია. პირველის დამაგვირგვინებელი დარტყმები უმეტესწილად მიზანს აღწევდა, მეორე კი ჭკვიანური გადაცემებით გამოირჩა.

კარგად ითამაშეს გუნდის კაპიტანმა მარიკა გერლიანმა და ნელი აირაპეტიანმაც, რომელმაც რამდენიმე შეცდომის წილ საქმეც ბევრი აკეთა.

ნაკრების მწვრთნელმა ნუგზარ მიქაძემ ნაკრების პროგრესი მუხლჩაუხრელი შრომით ახსნა, მარიკა გერლიანმა კი მთელ საქართველოს მიულოცა გამარჯვება და ისიც დასძინა, დღევანდელი შედეგი ნაკრების მაქსიმუმი არ არის, მეტიც შეგვიძლიაო.

**ლადო ფულუძიძე**

***გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები***





**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში**
**VII ეტაპი. თურქეთი. 348,3 კმ**

# მეფე კარლოსი დაბრუნდა

**უნიკალური** მიღწევა დაამყარა 31 წლის ფრანგმა მერალემ სებასტიენ ლოებმა. მონაკოელ თანამძღოლ დანიელ ელენასთან ერთად მან ზედიზედ მეოთხე რბოლა მოიგო.

შარშანდელმა ჩემპიონებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა და უკვე პირველი დღის შემდეგ წუთით და ათი წამით ჩამოიტოვეს უახლოესი მდევრების, ჯანლუიჯი გალის და გვიდო დამორეს „მიცუბისი". ხოლო შაბათ-კვირას უფრო განმტკიცეს უპირატესობა და კარიერაში მე-15 გამარჯვება ჩაიწერეს.

თურქული ეტაპის მთავარი მოვლენა კი ტრასაზე 43 წლის კარლოს საინსის გამოჩენა გახდა. პენსიიდან გამოძახებულმა „მატადორმა" წლეულს სამჯერ ნაავარიებმა, 24 წლის ფრანსუა დიუვალი შეცვალა „სიტროენში".

მეფე კარლოსმა საკუთრივ ასტალის მიწიან, ნაწვიმარ გზებზე ყვერითი ცუდად დაიწყო, 29-კილომეტრიან ჩქაროსნულ მონაკვეთზე მხოლოდ მეათე დრო აჩვენა, მაგრამ თანდათან ფორმაში შევიდა და ბოლოს მეოთხე ადგილზე დასრულდა.

საწყენი კია, მაგრამ როგორც ფრანგული საჯინიბოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, საინსის დაბრუნება დროებითი ამბავია და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი არ აპირებს ყველა ეტაპზე გამოსვლას.





„სიტროენის" ოთხოსნები: ლოებმა მეოთხე მოიგო, საინსი მეოთხე იყო

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 4სთ; 21.48,0 |
| 2 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | ჩამორჩა 59,6 |
| 3 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 1.15,3 |
| 4 | კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) | 4.17,7 |
| 5 | მარკო მარტინი (ესტონეთი, პეჟო) | 5.57,2 |
| 6 | ტონი გარდმაისტერი (ფინეთი, ფორდი) | 8.07,3 |
| 7 | რომან კრესტა (ჩეხეთი, ფორდი) | 8.48,3 |
| 8 | ჯანლუიჯი გალი (იტალია, მიცუბისი) | 9.38,9 |

### საერთო ჩათვლა

1 ლოები — ელენა 55 ქულა; 2 პ. სოლბერგი — მილსი 42; 3 მარტინი — პარკი 38; 4 გრონჰოლმი — რაუტიაინენი 32; 5 გარდმაისტერი — ჰონკანენი 31; 6 როვანპერა — პიეტილაინენი (ფინეთი, მიცუბისი) 13; 7 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 11; 8 კრესტა — მოენი 10; 9 ჰ. სოლბერგი — მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 9; 10 ჟ. პანიზი — ე. პანიზი (საფრანგეთი, მიცუბისი) 7



## მსოფლიოს ჩემპიონატი. მეხუთე ეტაპი

### იტალიის დიდი პრიზი. მუჯელო — 5245მ

#### მოტო გრან პრი — 120,6 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) | 42 წთ; 43,0 |
| 2 | მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) | ჩამორჩა 0,4 |
| 3 | ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი) | 3,9 |

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 120 ქულა; 2 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) 71; 3 ბიაჯი 67; 4 სეტე გიბერნო (ესპანეთი, მოვისტარ ჰონდა) 53; 5 ალექს ბარუში (ბრაზილია, ქემელ ჰონდა) 52

#### 250 სმ³ — 110,1 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) | 40 წთ; 32,0 |
| 2 | ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) | ჩამორჩა 1,2 |
| 3 | ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია იტალია) | 1,6 |

**საერთო ჩათვლა**

1 პედროსა 98 ქულა; 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 77; 3 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, კარერა აპრილია) 76; 4 დე ანჯელისი 56; 5 ლორენცო 54

#### 125 სმ³ — 104,9 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1 | გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) | 40 წთ; 12,7 |
| 2 | ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) | ჩამორჩა 0,1 |
| 3 | ხუან ოლივე (ესპანეთი, ნოსაბლე აპრილია) | 14,7 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლუტი 74 ქულა; 2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) 66; 3 ტალმაში 62; 4 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) 59; 5 ფაბრიციო ლაი (იტალია, კოპრონ ჰონდა) 57



რაფაელ ნადალს ზინედინ ზიდანმაც მიულოცა

# რაფაელ ნადალი: მეამაყება, რომ დიად მეჩოგნეებს გავუტოლდი

**როლანგაროსულ საჩოგნეთში ნაჩვენებმა შლეგიანმა ბურთაობამა და გაუბზარავმა სულისკვეთებამ რაფაელ ნადალი საბოლოოდ აქცია მრავალმილიონიანი მსოფლიო აუდიტორიის ერთ-ერთ კერპთაგანად. საკუთრივ მის ნინსვლაზე კი კარიერის პირველი სლემტიტულის შოვნä ორსავე რეიტინგსიაში მსწრაფლი აღზევებით აისახა — ჩემპიონთა რბოლაში მან 665 ქულა მოაქუჩა და ამ მაჩვენებლით წლეულს მასსავით ექვსი ტიტულის მომხვეჭ როჯერ ფედერერს გაუტოლდა, განთესვის ჩამონათვალში კი მისმა ქულადმა მონაგარმა 3600-ს უწია და ის ახლა მხოლოდ 3685 ქულის მქონე ლეიტონ ჰიუიტსა და 6980-ის მქონე ფედერერსღა ჩამორჩება. ნინ ჰალეურ-უიმბლდონური ბალახობაა და მთელ მილეთსაც უწინარესად ის აინტერესებს, სუპერსათიხნარო სეზონის შემდეგ 19 წლის მალიორკელი ესპანელთათვის ტრადიციულად უცხო საფარზეც თუ შესძლებს ჯომარდად გარჯას**

**— ახლა ყველა ერთთავად თქვენი მომდევნო ტურნირის მოლოდინშია. უიმბლდონისთვის მზადებას ისევ ჰალეში აპირებთ?**

— დიახ, ჰალეში ხვალვე გავფრინდები. სწორედ იქ ვეცდები ჩემი საბალახსაფრო თამაშის დახვეწასა და უიმბლდონისთვის მომზადებას.

**— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა თქვენი დღევანდელი გამარჯვება ყველაზე მეტად?**

— ალბათ იმან, რომ ყოველი ბურთისთვის ბოლომდე ვიბრძოდი. როცა პრობლემები მექმნებოდა, ვცდილობდი, გამეძლო და მებრძოლა, მებრძოლა და მებრძოლა... პირველ სეტში ცოტა ვნერვიულობდი, მეორეში კი დავმშვიდდი და შევეცადე, უფრო აგრესიულად მეთამაშა. ასე იყო მესამეშიც, ბოლოში კი მართლაც მაგრად დავგლიჯე, განსაკუთრებით სეტპოინტებზე. თქვენ ეგრე არ ფიქრობთ?

**— როგორ ახსნიდით თქვენს საოცარ შეუპოვრობასა და სულისკვეთებას, არასოდეს-თქვა-მორჩა განწყობას? საიდან გაქვთ ეს?**

— აზრზე არა ვარ, ალბათ ბუნებრივად ესეა, არა? ისე კი, ჩემი მწვრთნელი, ბიძაჩემი ტონიც და საერთოდ მთელი ოჯახიც სულ ამას ჩამჩიჩინებდნენ, რომ ბრძოლა უმთავრესია და რომ არასოდეს უნდა დანებდე.

**— რაზე ფიქრობთ ახლა, მატჩის შემდეგ?**

— ეს ჩემი კარიერის ალბათ ყველაზე საუკეთესო მომენტია. მე ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, აქ მოგება ხომ ოცნების ასრულებასავითაა. და, რაც მთავარია, ამ დროს მახსენდება ძმიმე შრომითა და ვარჯიშებით წამფრდღული ის წლები, როცა ჯერ სულ ყმაწვილი ვიყავი და ჩოგნის გაუთავებლად ქნევა მიხდებოდა.

**— ვიზე ფიქრობდით მატჩის მოგების შემდეგ?**

— უამრავ ადამიანზე. განსაკუთრებით კი ჩემს ძასა და მწვრთნელზე, ურომლისოდაც მე აქ ვერასოდეს ვითამაშებდი.

**— ფიქრობთ, რომ კიდევ ბევრი რამ გაქვთ განსავითარებელი?**

— მე ყოველდღიურად უნდა ვვითარდებოდე. ახლა ხომ მხოლოდ 19 წლის ვარ. საიმისოდ, რათა ეს დონე შევინარჩუნო, ყოველდღიურად რაღაც უნდა გავაუმჯობესო. მინდა, რომ ყველა საფარზე კარგად ვთამაშობდე... პირველ რიგში მოწოდებას უნდა მივხედო, რადგანაც ის ხშირად მღალატებს ხოლმე. ასევე საჭიროა, ბადესთან თამაშიც დავხვეწო — უამისოდ ხომ ჭერქვეშ და ბალახზე კარგად ჩოგნაობა შეუძლებელია.

**— შარშან სადღაც ამ დროს, როცა თქვენ დაშავებული იყავით, ვინმე რომ მოსულიყო ეთქვა: „ჯიგარო, ნუ ნაღვლობ, ერთი წელიც არ გაივლის და შენ ჯერ ესპანეთთან ერთად დევისთასს მოიგებ, მერე კი როლანგაროსობასაც", რას უპასუხებდით?**

— ცხადია, შარშან ამ დროს, როცა შინ ფეხგადახვეული ვიწექი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მერე ასეთი რამეები მოხდებოდა.

**— უიმბლდონზე თქვენ როგორც გმირს ისე შეგხვდებიან. ფიქრობთ, რომ იქ მოგებაც ჩოგანგეწყობებათ?**

— არა, ბალახზე ჯერ ვერ გავიქაჩები. თუმცა, ძალიან მინდა, რომ ამ საფარზე თამაში წელსვე გავაუმჯობესო. სწორედ ამიტომ მივდივარ ჰალეობაზე და სწორედ ამიტომ მინდა, საერთოდ სწრაფსაფარა კორტებზე წარმატებით სათამაშოდ მოწოდებისა და ბადესთან თამაშის დახვეწა.

**— როდის იფიქრეთ პირველად, რომ შეგეძლოთ, დიდი მეჩოგნე გამხდარიყავით, როცა ალბერტ კოსტას მოუგეთ თუ წლეულს, მონტეკარლობაზე გამარჯვების შემდეგ?**

— მეჩოგნეობა პატარა ბიჭობიდანვე მინდოდა. იმაზეც კი ვოცნებობდი, პროფესიონალი მეჩოგნე გავმხდარიყავი. რაღაც უფრო მეტზე კი არ მიოცნებია. თუმცა ასაკთან ერთად ოცნებებიც იცვლება და მიზნებიც... ყველაფერი ნელ-ნელა და თანდათანობით ხდებოდა — თავიდან პატარა ტურნირების საკვალიფიკაციო ტურნირებზეც მიჭირდა გასვლა, ახლა კი უკვე ზეათეულელი ვარ.

**— და ყველაზე მეტად რომელმა მომენტებმა შეგძინათ საკუთარ ძალებში თავდაჯერებულობა?**

— უმნიშვნელოვანესი დევისთასზე გამარჯვება იყო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო წლევანდელი ავსტრალიობაც. იქ მართლაც კარგად ვითამაშე და მივხვდი, რომ თიხნარის გარდა სხვა საფარზეც შემიძლია კაცურად გარჯა. მერე თიხნარსეზონიც დაიწყო და უკვე აკაპულკოშივე საქმე წაღმა წავიდა. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როგორ ვითამაშებდი დიდ ტურნირებზე, საუკეთესო მეჩოგნეების წინააღმდეგ. როცა მონტეკარლოსა და ბარსელონაში ყველაფერი ასევე რიგიანად წაეწყო, დავრწმუნდი, რომ ადრე თუ გვიან როლანგაროსობის მოგებასაც შევძლებდი.

**— როცა ნამატჩევს ეს ჯილდო ხელში ჩაბღუჯეთ, რა ფიქრები გეძალებოდათ?**

— მეამაყებოდა, რომ ამ ტურნირის მომგებ დიად მეჩოგნეებს გავუტოლდი. მათ დონეზე ყოფნა ხომ ჩემთვის უდიდესი ოცნება იყო.

**— რა გითხრათ მატჩის შემდეგ მეფე ხუან კარლოსმა?**

— გულითადად მომილოცა. მითხრა, რომ რაც გავაკეთე, დაუჯერებელია. მადლობაც მომიხადა და საუკეთესო სურვილებიც მისურვა.

**— ესპანეთის ეროვნული ჰიმნისას ზიდანს ესაუბრებოდით...**

— ის ჩემთვის ერთი საუკეთესო ათლეტთაგანია, ბოლო წლების ერთი უძლიერესი მოთამაშე. საფეხბურთო მოედანზე ის საოცრად ელეგანტურია, მოედნის გარეთ კი ელეგანტურობასთან ერთად საოცრად უბრალოც. მან ასევე მომილოცა და მითხრა, რომ ფენომენალური მეჩოგნე ვარ, მე კი ვუთხარი, მიხარია, მალიორკა პრიმერაში რომ დარჩა-მეთქი.

**— გეგონათ, რომ პუერტა ასე გაგიძალიანდებოდათ?**

— დიახ, ეჭვიც არ მეპარებოდა. ისიც კი ვიცოდი, რომ შეიძლებოდა დავმარცხებულიყავი კიდეც. ის ძალიან აგრესიული მოთამაშეა. მთელი მატჩის განმავლობაშიც მძლავრად აბრახუნებდა. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ მთელი ტურნირისას სწორედ ამ მატჩში მომიხდა ყველაზე მეტი სირბილი.

**— დღეს უფრო გაგიჭირდათ თუ ორი დღის წინ ფედერერის წინააღმდეგ?**

— ყველა მატჩს განსხვავებული მუღამი და ისტორია აქვს. ყოველ მატჩშია რთული მომენტები და ვერავინ განსჯის, სად რა უფრო რთული იყო.

**— დიდი მუზარადის დანარჩენ ტურნირებთან შედარებით, როლან გაროსს როგორ შეაფასებდით?**

— დიდი მუზარადის ყველა ტურნირი თანაბრად მნიშვნელოვანია. თუმცა ესპანელთათვის როლანგაროსობის მოგებას მაინც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მეორე ადგილზე უიმბლდონია. ცხადია, ყველა ტურნირის მოგება დიდი მიღწევაა, მაგრამ ჩვენთვის, ესპანელთათვის აქ გამარჯვება მაინც უზენაესი რამეა, ისევე როგორც, ვთქვათ, ფედერერისთვის უიმბლდონის მოგება. მე მინდა, ყველა ამ ტურნირის მოსაგებად ვიყო მზად.

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თქვენ აბსოლუტურად არ ექვემდებარებით გარემოებათა წნეხს. ფინალის წინაც ასე იყო?**

— მე ყოველთვის ვგრძნობ წნეხს. ალბათ არ არსებობს ადამიანი, ამას არ გრძნობდეს. ყველა დიდი ჩემპიონი განიცდის გარემოს ზეწოლას. ერთადერთი, რაც შენზეა დამოკიდებული, აკონტროლო და გაუძლო მას. ზოგს ეს კარგად გამოსდის, ზოგსაც — ნაკლებად. აქ პირველი შეხვედრიდან ფინალამდე წნეხის ქვეშ ვიყავი, მაგრამ ნიადაგ იმას ვცდილობდი, ჩემთვის არასასურველად წარმართული მოვლენების მიმდინარეობა შემეცვალა, მეტი მერბინა, მეტი მემოძრავა. ზოგჯერ ეს გამომდიოდა, ხშირად კი ამას ვერ ვახერხებდი.

**— ესპანეთში ნომერ პირველი სპორტი ფეხბურთია, მერე ფორმულა ერთი მოდის. გჯერათ, რომ შეგიძლიათ ამ იერარქიის შეცვლა და ჩოგბურთის სპორტის უპოპულარულეს სახეობად აღზევება?**

— არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთი ესპანეთში ყოველთვის სპორტის მეფედ დარჩება... შარშან, როცა დევისთასის ფინალი იყო, ჩვენ მთელი ესპანეთი გვიჭერდა მხარს, მაგრამ რადგანაც ჩოგბურთი ინდივიდუალური სახეობაა, მას გუნდურ სახეობაზე ნაკლებ შეუძლია ხალხის მასების აბობოქრება. თუმცა ჩოგბურთი მაინც ძალიან პოპულარულია და მას სულ უფრო მეტი ესპანელი მისდევს. რაც შეეხება ფორმულა ერთს, მის პოპულარობას ის განაპირობებს, რომ ადრე ესპანელი მრბოლელები არ გვყავდა, ახლა კი შესანიშნავი მრბოლელები გვყავს. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება უკეთ განვაგრძო ჩემი საქმის კეთება და ულრმეს მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამით დაინტერესებულია ან მერე დაინტერესდება.





ერთა თასი 2005

## დათვებმა წისქვილზე წყალი ვერ დაგვისხეს

**შაბათს** ერთა თასზე „დათვები" პორტუგალიელებს იღებდნენ და მასპინძელთა გამარჯვება სწორედაც რომ ჩვენს წისქვილზე დაასხამდა წყალს.

ჩრდილოელი ჟურნალისტების მიერ რუსული რაგბის მექად წოდებულ კრასნოიარსკში თამაში ისე დაიწყო, ჩვენ რომ გაგვიხარდებოდა. მეთორმეტე წუთისთვის მასპინძლები 10:0-ს იგებდნენ, მაგრამ პირინეელებმა ჯერ კიდევ პირველ ნახევარში შეძლეს თამაშში გარდატეხვის შეტანა და ტაიმი 13:10 მოიგეს.

შესვენების შემდეგ უკეთ ისევ პორტუგალია ათამაშდა და მონაგარს კიდევ ერთი ლელო მიამატა. „დათვები" კი მხოლოდ 2 საჯარიმოს გამორჩნენ და საბოლოო შედეგიც 16:18 დაფიქსირდა სტუმართა სასარგებლოდ.

ასეა თუ ისე, რუსებს ქართული საქმე არც შაბათს გაუკეთებიათ.

**ლადო ფულუკიძე**

## კელტებმა კარპატელები დაარბიეს

**ერთა** თასის გათამაშების ლიდერი და ჩვენი მთავარი კონკურენტი რუმინეთის ნაკრები კვირას ბუქარესტში შოტლანდიის ნაკრებს მასპინძლობდა.

ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს კარპატელები კელტებთან მატჩში რომ ვერ მოუღებდნენ ბოლოს, მატჩამდეც ცხადი იყო, რადგანაც, როგორც უკვე ვწერდით, ტრავმიანობამ დარიათ ხელი და რამდენიმე წამყვანი მორავბე გამოაკლდათ.

„ლომების" ტურნეს გამო შოტლანდიელებსაც დააკლდათ ნაკრების რამდენიმე წევრი, თუმც გუნდის ახალწვეულებმა, სქოთ ლოუსონმა და კელი ბრაუნმა, შესანიშნავად ითამაშეს და თითო ლელოს გატანა მოახერხეს. დანარჩენი ოთხი ლელო კი „სქოთთა" მხრიდან ჰენდერსონის, ბრაუნის, პატერსონის, პარკსის და მიურეის ანგარიშზეა. 3 გარდასახვა და ერთიც საჯარიმო დარტყმა, როგორც ყოველთვის, პატერსონმა შეასრულა ზუსტად.

რუმინელთაგან ლელო საუანმა გაიტანა, გარდასახვა და 4 ზუსტი საჯარიმო კი დანუტ დუმბრავას ანგარიშზეა.

ეს რუმინულ-შოტლანდიური მეათე, საიუბილეო მატჩი გახლდათ. „მუხის ფოთლებს" „სქოთებთან" მხოლოდ ორჯერ მიუღწევიათ წარმატებისათვის.

**ლადო ფულუკიძე**



მადრიდელებმა ღამითაც იხალისეს



იმპროვიზებული ანტიკური სტადიონი პარიზში

# პარიზი მადრიდი 2012

2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის გარკვევამდე დაახლოებით ერთი თვე რჩება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დიდკაცობა სინგაპურში შეიკრიბება და ხუთ კანდიდატს: მოსკოვს, პარიზს, ლონდონს, მადრიდსა და ნიუიორკს შორის რჩეულს დაასახელებს. კომისიამ უკვე ხუთივე ქალაქში იმოგზაურა და თითოეულის ავანჩავანიც ბოლომდეა შესწავლილი, თუმც წინასაარჩევნო პროგრამები გრძელდება. კვირას მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა ხუთი კანდიდატი ქალაქიდან ორმა — პარიზმა და მადრიდმა სცადა.

პარიზში, რომელიც გამარჯვების ფავორიტად ითვლება, გრანდიოზული მასობრივი მსვლელობა მოეწყო. ამ მხრივ განსაკუთრებით ელისეის მინდვრებში პარიზის მთავარი ქუჩა გამოირჩეოდა, სადაც ასობით ათასმა კაცმა მოიყარა თავი. იქ, ტრიუმფალური თაღთან, ათენის ანტიკური მარმარილოს სტადიონის თავისებური იმპროვიზებული ვეება ასლიც კი მოაწყვეს. აქ თავმოყრილ პარიზელებს და პარიზელთა სტუმრებს შეეძლოთ არა მხოლოდ ცნობილი პიროვნებების, მათ შორის სპორტსმენთა ხილვა, არამედ მათთან ერთად სამახსოვრო სურათების გადაღებაც. ხალხს აქ შეეძლო არა უბრალოდ სეირნობა, არამედ თავის საყვარელ სპორტულ სახეობაში ძალის ცდაც, მათ შორის... საიალქნო სპორტში და ცურვაშიც, რისთვისაც სახელდახელო აუზიც მოეწყო.

საერთო ჯამში ელისეს მინდვრებში 30 სახელდახელო სპორტული ნაგებობა მოაწყო.

მეტად შთამბეჭდავი იყო მადრიდელთა მონდომებაც აქ ოლიმპიადის მასპინძლობის მხარდამჭერ აქციაში ნახევარ მილიონზე მეტი მადრიდელი მონაწილეობდა. მიუხედავად 35-გრადუსიანი სიცხისა, ათასობით ოჯახი დედაბუდიანად გამოსულიყო გარეთ და პირდაპირ ქუჩებში გაჩაღებულ სპორტულ შეჯიბრებებს დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს. არჩევანი მართლაც დიდი იყო, ფეხბურთით დაწყებული, ბაიდარა და კანოეთი დამთავრებული, თან თავის ოსტატობას ესპანეთის თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი ამჟღავნებდა.

სპორტულ სანახაობებს ადგილ-ადგილ ცეკვა-თამაშიც ენაცვლებოდა, საღამოს კი ყველასათვის კოლუმბიელ შაკირას უნდა ემღერა. აქციის ორგანიზატორებმა თაკარა მზით შეწუხებული მაყურებლების გაგრილებაზეც იზრუნეს. მათ პირდაპირ სახანძრო შლანგებიდან წუწავდნენ, თუმც ამით უკმაყოფილო არავინ დარჩენილაო — წერს ერთ-ერთი ესპანური სააგენტო.

ზეიმის დასასრულს 150 ათასამდე მოხალისემ მსოფლიოს უდიდესი დროშის გაშლა დაიწყო. 4 კილომეტრი სიგრძისა და 7 მეტრი სიგანის დროშა, რომელზეც, რაღა თქმა უნდა, „მადრიდი 2012" ეწერა, 3 ტონაზე მეტს იწონიდა და მისი შეკერვა 24 ათასი ევრო დაჯდა.

ბოლომდე გაშლისა და წინასწარ შედგენილ მარშრუტზე გატარების შემდეგ მოხალისეთა რიცხვმა ნელ-ნელა იკლო და მისი დაკეცვა შეუძლებელი გახდა. ორგანიზატორებმა დროშა ნაკუწ-ნაკუწ დაურიგეს ხალხს სუვენირებად.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ცურვა და აფროსნობა ელისეს მინდვრებში



მადრიდში შაკირამაც იმღერა



ოთხკილომეტრიანი დროშა მადრიდში



AFP მუჯელოდან

# ტოტი მოტო

„რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი და მისი გოგო ილარი ბლაზი მუჯელოს რესტრეკზე მისულან, სადაც იტალიის დიდი პრიზი იამართებოდა მოტოსპორტში. შეჯიბრი ვალენტინო როსიმ მოიგო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ასკოტიდან



AFP ასკოტიდან

# ასკოტზე

ასკოტის სამეფო დოღი ჩვეული ცერემონიებით, შლაპების შეჯიბრითა და არისტოკრატიის თანხლებით მიმდინარეობს. გამარჯვებული ამ ჯერზე ირლანდიელი ჯონი გურტაფი გამოვიდა. ნაცნობ სახეთაგან ამ ჯერზე ბრიტანულ სამეფო წყვილსა და ყოფილ მის საფრანგეთს, სოფი ტალმანს შემოგთავაზებთ, დედოფალს მგონი მზე აწუხებს.



AFP ასკოტიდან



# რაფაელი თამაშობს

ეს როლან გაროსია: ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ალბათ კმაყოფილია. ჩემპიონობა ხომ მისმა თანამემამულემ, რაფაელ ნადალმა მოიგო. ის კაცი კი, მეფეს რომ ესაუბრება, „ფერარის“ გენერალური დირექტორი ჟან ტოდტია.

# ისტამბულის ლამაზები

თურქები და ბერძნები უგოლოდ გაიყარენ სტამბოლის „ინონუს“ სტადიონზე, ეს თურქი ჩირლიდერები კი ყველას ძალიან მოეწონება.




AFP სტამბოლიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, კახა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისაიშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge